პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი შაბათი 10 მარტი № 59 (17404)

ფასი 2 კაპ.

პარტიული ცხოვრება: დრო და კომუნისტი

ეკვე რვა თვე გავიდა, რაც ხუთწლედის უღელტეხილი გადავიარეთ, უღელტეხილი, საიდანაც ხელისგულივით გამოჩნდა ჩვენი ნაშრომ-ნაამაგარიცა და გასაკეთებელიც, მიღწეულიც და მოსაგვარებელიც. და როცა ყოველივე ამას ალალი გულით, საღი თვალით აფასებ, არ შეიძლება სიხარული არ დაგეუფლოს იმის გამო, რომ ჩვენი ცხოვრება აღმავალი გზით მიდის. კაცს ფრთები გესხმება, რადგან სულ უფრო მეტად რწმუნდები — ის რაც დავისახეთ, აუცილებლად შესრულდება!

თუნდაც მარტო ხვალინდელი დღის საზეიმო განწყობილებაზე ვთქვათ. აი, საქართველო ზედიზედ მეექვსედ იღებს დიდს და საპატიო ჯილდოს — საკავშირო გარდამავალ დროშას. ეს ხომ ჩვენი საერთო ნაყოფიერი გარჯის კიდევ ერთი ნათელი დასტურია! ჩვენ დროშების მიღებას ყოველწლიურად ისე შევეჩვიეთ, რომ უკვე სხვაგვარად ვეღარც წარმოგვიდგენია. საკავშირო გარდამავალი დროშა მესამედ მიიღო ჩემმა თბილისმაც, როგორც დიდი შეჯიბრების ერთ-ერთმა გამარჯვებულმა...

რისთვის?

აბა თვითონ განსაჯეთ: შარშან პრაქტიკულად თითქმის განხორციელდა ის შესანიშნავი ინიციატივა, რომ ჩვენს ქალაქში არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო არ ყოფილიყო, მარტო ჩარხშენებლებმა გვიღალატეს...

არ მინდა ათასგვარი ციფრით თავი შეგაწყინოთ. თბილისისა და მთელი საქართველოს მშრომელთა მიერ გაწეული მუშაობის სტატისტიკა ყველასათვის ცნობილია. ამიტომ ზოგადად ვიტყვი, რომ ჩვენი ეკონომიკა დღითიდღე იზრდება და მდიდრდება. თუ ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ სხვა მოძმე რესპუბლიკებს მხოლოდ კუდში მივჩანჩალებდით, დღეს საბჭოთა საქართველო მოწინავე პოზიციებზე გავიდა.

ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმი არა მარტო მატულობს, არამედ ხარისხობრივად უმჯობესდება კიდეც. პირდაპირ დაუნახაობა იქნებოდა არ აღგვნიშნა ჩვენი მშენებლების წარმატებანი — ენგურჰესი თუ ათასობით საცხოვრებელი ბინა, ახალი საავადმყოფოები და სკოლები, სტადიონები და მოედნები... რომელ ერთს ჩამოთვლი! თავიანთი რეკორდებით გაგვახარეს მეჩაიეებმა და მეეფეხეებმა, ბუნების ჭირვეულობას კარგად გაუმკლავდნენ მემინდვრეები, მეცხოველეები, მეხილეები, მებოსტნეები...

და ჩვენ ვიცით, თუ რა ფასად მოვიდა ეს გამარჯვება, რა დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური, ნამდვილად დაძაბული მუშაობა უძღოდა წინ. სწორედ ამის გამო მოიწონა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობა 1976 წლის ივნისის ცნობილ დადგენილებაში.

მე, როგორც რიგითმა მუშაკაცმა და კომუნისტმა, ამ საზეიმო დღეებში მინდა ერთხელ კიდევ გამოვთქვა ჩემი სიხარული, თანაც მწამს, რომ ამ საერთო წარმატებებში ჩემი და ჩემი ამხანაგების მცირეოდენი წვლილიც არის. მაგრამ ამავე საზეიმო დღეებში მინდა გამოვთქვა საკუთარი ფიქრები, დამკიდებულება იმ გულსატკივნისა და გაუკეთებლის მიმართ, რომელთა გამო გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და საყვედური ჩვენც გვეხება.

რაც დრო გადის, მით უფრო ვუახლოვდებით სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების მოწვევის დღეებს. როგორ ვემზადებით ამ დიდი ფორუმების ღირსეული შეხვედრისათვის?

ჯერ ჩემს მშობლიურ კოლექტივზე, ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხანაზე ვიტყვი ოროოდე სიტყვას. იგი მეთაური საწარმოა თბილისის გაერთიანება „საქღვინომანქანქანის". პატარა მნიშვნელობისა როდია, აბა წარმოდგინეთ, ყურძნისა და ხილის გადამუშავების ნაკადური ხაზებისათვის ყოველ საათში 10-30 ტონა ნედლეულის მწარმოებლობის გიგანტურ ზეგრებს ვუშვებთ. ამას დაუმატეთ ტრანსპორტიორები, ვალციანი და ცენტრდანული სამსხვრეველები... ჩვენი ნახელავი მარტო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში კი არა, საზღვარგარეთაც იგზავნება. ესეც არ იყოს, თვითონ ჩვენმა მევენახეებმა ხომ 572 ათასი ტონა ყურძენი დაახვავეს, წლეულს კიდევ უფრო დიდი მიჯნები დაისახეს. ყოველივე ეს გვიმატებს საზრუნავს, რომ წარმოებაც გავადიდოთ და ხარისხიც ვაუმჯობესოთ.

მოკლედ ვიტყვი: ჩვენთან საქმეს თითქოს ცუდი პირი არ უჩანს. შარშანდელი გეგმა-ვალდებულებები გადაჭარბებით შევასრულეთ, შარშანვე ჩვენი გაერთიანების ნაწარმს — „ვსს"-20 დ" ტიპის ღვინის საწრეტ დანადგარს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიაკუთვნეს. ამ დღეებში „ტ1-ვმ-20" მარკის წმერმაც მოიპოვა სპეციალი ხუთკუთხედი... დიახ, ერთი შეხედვით, საქმე თითქოს ცუდად არ მიდის, მაგრამ დღესდღეობით, შეიძლება ითქვას, ბევრი რამ გვაქვს დასაძრახიც და საჩოთიროც.

უბედურება ის არის, რომ ამ ბოლო დრომდე კოლექტივი ინერციით, მეტად ურიტმოდ მუშაობდა, ვეგმებსაც ძირითადად კორექტირების (რა თქმა უნდა, შემცირების) გზით ასრულებდა. ასე იყო შარშანაც. რატომ? რა გაუჭირდათ ახეთი გაერთიანებაში შემავალ თბილისის ორ უძველეს მანქანათსაშენებელ საწარმოს — ს. ორჯონიკიძისა და 26 კომისრის სახელობის ქარხნების კარგი ტრადიციების მქონე კოლექტივებს?

მოდით, გულახდილი ვიყოთ და ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ! მე ქარხანაში ჯერ კიდევ ათას ცხრაას ორმოცდაორში ცამეტი წლისამ დავიწყე მუშაობა. კვებნად ნუ ჩამითვლით, და კარგად ვიცნობ წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ქართული ანდაზისა არ იყოს, დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამსო, ზოგჯერ ჩვენც უცნაური რამ გვემართება: მომავლის, პერსპექტივის გათვალისწინებით არ ვმუშაობთ... საქმე მიდის, გეგმები სრულდება, მადლობებსა და პრემიებსაც ვღებთ „კარგი მუშაობისათვის". აი ამ დროებითი წარმატებებით ვკმაყოფილდებით, ზხირად ამის იქით არ ვიხედებით. ხოლო, როცა დასუსტებული საწარმო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორივე ფეხით დაიწყებს კოჭლობას, მაშინ დავფაცურდებით, თავში ხელს შემოვირტყამთ ხოლმე — ეს რა მოგვსვლიაო.

სატკივარს თავიდანვე უნდა წამლობა. ჩვენს კოლექტივს კი, სადაც ყოველი მეხუთე წევრი კომუნისტია, გაცილებით მეტი მოეთხოვება. მჯერა, მდგომარეობას მალე გამოვასწორებთ. ამ რამდენიმე თვის წინათ გაერთიანებას ახალი გენერალური დირექტორი ჩაუდგა სათავეში. მან იმთავითვე ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს. პირველი შედეგებიც ურიგო როდია.

მაგრამ, ახლა მაინც ყველა გულიანად და მონდომებით შრომობს? ჯერაც ხომ საკმაოდ ხშირად გვიხდება მსჯელობა პარტიული კომიტეტის სხდომებსა და საამქრო პარტორგანიზაციების კრებებზე ზოგიერთი მუშის უპასუხისმგებლობაზე? აი თუნდაც ა. მანუკიანი. იგი, საერთოდ, კარგი სპეციალისტია, მაგრამ ხშირად აცდენს სამუშაოს. ვერ იქნა და ვერ მოიშალა ღვინის სმა. ან კიდევ შ. ბახია, რომელიც ამავე მიზეზით შარშან გავათავისუფლეთ ქარხნიდან.

დიახ, დისციპლინის განმტკიცება, პასუხისმგებლობის ზრდა ერთ-ერთი მთავარი საკითხია. მაგრამ, ამასთან ერთად, სათანადო, საფუძვლიანი ცოდნის უქონლად, მხოლოდ ცარიელი მონდომებით შორს ვერ წავალთ.

მაგალითად, არ შეიძლება ითქვას, თითქოს ქარხნის ელექტროსარემონტო უბნის (უფროსი — კომუნისტი ს. ოსიპოვი) მუშაკები უპასუხისმგებლონი იყვნენ, მაგრამ იმის გამო, რომ ხშირად დროულად ვერ ერკვევიან ახალი დანადგარების რთულ კონსტრუქციაში, მათი რემონტი შეუწყნარებლად ჭიანურდება. კომუნისტი კი ვალდებულია სისტემატურად ზრუნავდეს თავისი იდეური და პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებისათვის.

სამწუხაროდ, საქმისადმი უპასუხისმგებლო, გულგრილ დამოკიდებულებასთან ერთად ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ფორმალიზმის, მოჩვენებითობის ფაქტებიც. ქარხნის სატრანსპორტო და მომარაგების განყოფილებათა მუშაკებს (უფროსები — კომუნისტები რ. ვაშაკიძე და გ. სტურუა) ევალებათ სხვადასხვა დაზგადანადგარის, მოწყობილობის, ნედლეულის შემოზიდვა და დაბინავება. თუმცა ამისათვის ისინი მაინცდამაინც არ იწუხებენ თავს და ყველაფერს პირდაპირ ეზოში, სადაც მოუხდებათ, იქ ყრიან (ეს იმის ბრალიც არის, რომ აი უკვე რამდენი ხანია არ იქნა და საშველი არ დაადგა ახალაშენებულ საწყობში ამწის დამონტაჟებას). ამაზე არც ჩვენ, მუშები ვიტკიეთ თავს და დღემდე ვერ მოვიფიქრეთ, რომ ერთი რიგიანი შაბათობა მოგვეწყო და მოგვეწესრიგებინა იქაურობა. ხოლო თუ რამე კომისიას ველოდით, ან მაშინ კი, იცოცხლე, ციბრუტივით დავტრიალდებით და მოვრთავთ-მოვკაზმავთ ხოლმე ქარხნის ეზოს სხვათა თვალის ასახვევად.

საყოველთაოდ ცნობილია, ყოველი პარტორგანიზაციის ძლიერების წყარო მისი წევრების აქტიურობაა. ჩვენს, საექსპერიმენტო-საიარაღო საამქროში კი ზოგჯერ ასე არ ხდება. კომუნისტები ს. ოგანეზოვი და ს. სოლომონოვი საქმის მცოდნე, მოწინავე სპეციალისტები არიან. არ მახსოვს, ოდესმე უარი ეთქვათ რაიმე დავალების შესრულებაზე, მაგრამ საამქრო პარტორგანიზაციის კრებებზე ხშირად მხოლოდ პასიური მჭვრეტელის როლს სჯერდებიან, არ აყენებენ საკითხებს და არ მონაწილეობენ მათ გადაჭრაში. ეს კი კარგი მაგალითი როდია ახალგაზრდა კომუნისტებისათვის, რომლებიც ახლა იღებენ პარტიულ წრთობას.

თუმცა გაერთიანების პარტიული კომიტეტი, საამქრო პარტორგანიზაციები, პარტიული ჯგუფები გეგმავენ და მართავენ სხვადასხვა პარტიულ-ორგანიზაციულ და იდეურ-აღმზრდელობითს ღონისძიებებს, სასურველ შედეგს მაინც ყოველთვის ვერ ვაღწევთ.

თუნდაც შრომის დისციპლინაზე ვთქვათ: როგორი გამოძახილი აქვს ჩვენთან რუსთაველთა ცნობილ ინიციატივას? აი შარშან გაერთიანებაში არასაპატიო მიზეზით გაცდენებმა 750-ზე მეტი კაცდღე შეადგინა. განა დასანანი არ არის! ამ დროის მანძილზე ხომ ჩვენ გეგმის გადამეტებით საათში 20 და 30 ტონა მწარმოებლობის ყურძნის რვა წბერს დავამზადებდით!

ძალიან გვაღელვებს ნედლეულისა და სათბობის ხარჯვაში უყაირათობის ფაქტებიც. ბევრი ლითონი იკარგება ბურბუშეულას სახით. თუ ამას აღვაკეთავთ, დიდ რეზერვს ჩავაყენებთ საქმის სამსახურში.

და მაინც, დროის დაზოგვაზე უფრო მინდა ვთქვა, რადგან ეს მარტო ჩვენს საწარმოს როდი ეხება. ნათქვამია, დრო ქარგაა, რომელზედაც ცხოვრება იქსოვებაო. აბა დავუფიქრდეთ, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გაგვაფრთხილა, ძალიან დიდხანს ხომ არ ვზივართ სხდომებზე? პირდაპირ ვეტყვით, მე და ზოგი ჩემი ამხანაგი, რომლებიც საზოგადოებრივ საქმეშიც ძალიან აქტიურობენ, თვეში, ერთად თუ ვიანგარიშებთ, ხან 3-4 დღესაც კი ვცდებით ხოლმე იმის გამო, რომ ათასგვარ სხდომებს ვესწრებით. ნურავინ მიწყენს, როცა ვამბობ, რომ რაიონულ, საქალაქო, სხვა ღონისძიებებზეც ხშირად გაბერილია რეგლამენტი. ბევრ ისეთ საკითხზე, რომლის მოგვარება ოპერატიულად, ხან ტელეფონით ან ნახევარსაათიანი სხდომითაც კი შეიძლება, იწვევენ მთელი დღის გახანგრძლივებულ თათბირს და როგორც მაიაკოვსკი ამბობს: „დღეში ოც სხდომაზე კაცი რას დაჯდება, ძლივს ვასწრებთ მისვლას და ფიქრს".

ხან მეჩვენება, თითქოს ზოგი ჩვენი პარტიული თუ სამეურნეო მუშაკი წინა თათბირზე თავისი გამოსვლის ტექსტს ოდნავ გადააკეთებს ხოლმე და მთელი წელიწადი ერთსა და იმავე ფრაზებს იმეორებს.

ბევრი ჩივის, დრო ცოტა გვრჩება იმისათვის, რომ ცოდნით გონებაც გავიმდიდროთ, სკოლაში ბავშვებსაც მივაკითხოთ, ახალ თეატრალურ დადგმებსა და კინოფილმებს დავესწროთო.

თითქოს ჩვენს ხუთწლიან გეგმებში კონკრეტულად არ არის მოცემული ჩვენი სულიერი ზრდის ციფრები, მაგრამ ხომ არ შეიძლება სამეურნეო გეგმებს ვასრულებდეთ ისე, რომ სულიერად არ ვიზრდებოდეთ. სწორედ ჩვენი სულიერი ზრდაა ესოდენ დიდი წარმატებების თავანკარა წყარო. მეტი დრო გვინდა იმისათვისაც, რომ ადამიანებთან, განსაკუთრებით ჩვენს ახალგაზრდებთან უშუალო და ცოცხალი საუბარი გავმართოთ. დაგეგმილ ღონისძიებებში ხომ ძალიან ბევრია ფორმალიზმი. მაგალითად, ვარგა ჩვენი აგიტატორების საუბრები? მარტო გაზეთიდან წაკითხული ამბავი ვიღას სჭირდება. საჭიროა ჩვენი ცხოვრების კონკრეტული ფაქტებით ისე მოეწყოს გულახდილი სჯა-ბაასი, რომ ჩვენში არც ერთი ობივატელი არ დარჩეს, რომელიც ზოგიერთ სიძნელეზე მთელ უბედურებას ააგებს ხოლმე.

სიძნელეები მართლაც გვაქვს. ბევრი დავძლიეთ, უფრო ბევრს დავძლევთ. მაგრამ როგორ ვეკიდებით იმ კრიტიკულ შენიშვნებს, რომლებიც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე გამოითქვა და რომელთა პრაქტიკულ გამოსწორებას მომდევნო პლენუმები, აქტივის კრებები მიეძღვნა?

რა თქმა უნდა, სწორი არ იქნება, თუ დღეს, როცა ვამბობთ, რომ პარტიის XXVI ყრილობისათვის ყველაზე კარგი სამზადისი წინა ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტააო, ხელმძღვანელი მუშაკების პასუხისმგებლობასთან ერთად, არაფერს ვიტყვით თითოეული მშრომელი კაცის, მით უმეტეს თითოეული კომუნისტის როლსა და პასუხისმგებლობაზე. სამწუხაროდ, ცოტანი როდი არიან ისეთები, რომლებიც ოღონდ ხელფასი გამოიმუშაონ და მეტს არას დაგიდვენენ.

თბილისის საკალაჭო პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც წლეულს ინვარში გაიმართა, მკაცრად, მაგრამ სამართლიანად ითქვა ბევრი ჩვენი რესპუბლიკური სამინისტროსა და უწყების შესახებ, რომ ისინი ჯერ კიდევ ვერ მუშაობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნების შესაბამისად. მას შემდეგ პლენუმმა მოიხმინა ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელთა ანგარიშები. ნეგატიური მოვლენების დასაძლევად მართლაც ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ოღონდ ამისათვის სათანადო ორგანოებს მთელი საზოგადოებრივობა უნდა ამოუდგეს მხარში.

პერსონალური პასუხისმგებლობა კი მაინც მთავარია. ყველანი რომ კეთილსინდისიერად ვასრულებდეთ მოვალეობას, მაშინ არც ბევრი გაუკეთებელი საქმე გვექნება და არც ზოგიერთი უკმაყოფილება, გაუგებარი კაცი რომ ყველაფერს სახელმწიფოს მიაწერს და არა ზოგიერთ კონკრეტულ დამნაშავეს.

ამას წინათ მე ბევრი რამის განმარტება მომიხდა ჩემი ამხანაგებისათვის და ბოლოს თითქმის ყველაფერში დამეთანხმნენ, რომ ეს დროებითი სიძნელეებია და მალე გამოსწორდება მეთქი: საქმე ეხება ორ 48-ბინიან საცხოვრებელ სახლს, რომლებიც ჩვენი ქარხნის დასახლებაში აშენდა. აი უკვე რამდენიმე წელია, რაც ხალხი შესახლდა, მაგრამ აქამდე ტრანსპორტი არ მოდის.

ასევე დღემდე ვერ დაიდგა ამ ბინებში ერთი ტელეფონი მაინც; რომ გაჭირვების დროს სასწრაფო საექიმო დახმარებას გამოუძახონ და მცხოვრებლებს არ სჭირდებოდეთ სირბილი ქარხნის შესახვლელში, მთელი ერთი კილომეტრის სიშორეზე.

ამ და კიდევ ბევრი სხვა საყოფაცხოვრებო საქმის მოგვარება უფრო კარგ გუნება-განწყობილებას შეუქმნის მშრომელ ადამიანებს, რომლებიც დიდი ჯილდოთი, თავიანთი შრომის მაღალი შეფასებით აღფრთოვანებულები მომდევნარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად ახალ პასუხსაგებ ვალდებულებებს კისრულობენ. დიდი შრომის სათავეში კი კვლავაც კომუნისტები უნდა ვიყოთ, ვიშრომოთ, ვიმოქმედოთ ჩვენი მოვალეობის მაღალი შეგნებით, საზრიანობით, საქმისადმი დიდი სიყვარულით.

ღირსეულად შეეხვედეთ მომავალ, სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებს! — აი ჩვენი სახელისა და ღირსების საქმე!

შ. ჯოხაძე,
თბილისის საწარმოო გაერთიანება „საქღვინომანქანის" ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

როგორ, რით შევხვდეთ პარტიის მომავალ, XXVI ყრილობას?

ჩვენი აქტიური პოზიცია

.. მოდით, გულახდილნი ვიყოთ

რედაქციის მინაწერი: კომუნისტ შ. ჯოხაძის წერილში აღძრული საკითხები, ცხადია, დღეს ბევრს აფიქრებს და აღელვებს.

მართლაც, რა არის საჭირო იმისათვის, რომ ხუთწლედის ბოლომდე დარჩენილ დროში ვიმუშაოთ უმაღლესი შრომის ნაყოფიერებით, გავზარდოთ წარმოების ეფექტიანობა, გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი, ავამაღლოთ თითოეული მშრომელის პასუხისმგებლობა და ამით ღირსეულად შევეგებოთ სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას? ეს ისეთი საკითხებია, რომლებზეც ღირს პრინციპული, საქმიანი მსჯელობა.

იმედია, წერილს ფართოდ გამოეხმაურება ჩვენი მკითხველი. „კომუნისტის" რედაქცია გთხოვთ, მოგვწეროთ, ძვირფასო მეგობრებო, თქვენსა და თქვენი კოლექტივების სამზადისზე, გაგვიზიაროთ საკუთარი მოსაზრებანი, წინადადებანი, თუ როგორი უნდა იყოს თითოეული კომუნისტის როლი იმ დიდ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებაში, რომელიც მომავალი პარტიული ყრილობების შესახვედრად ჩაღდება.

„სალუტ-6"—„სოიუზ-32" ეკიპაჟის სადაგი დღეები

ფრუნზის მართვის ცენტრი, 7 მარტი. (საკდესი). კოსმონავტები ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი დაგეგმილ სამუშაოებს განაგრძობენ „სალუტ-6"-„სოიუზ-32" სამეცნიერო კვლევის კომპლექსში.

დღეს ეკიპაჟი ამოწმებს სადგურის რადიოტექნიკურ სისტემებს, ფიზიკურად ვარჯიშობს ველოერგომეტრზე და კომპლექსურ ტრენაჟორზე, „სალუტ-6"-„სოიუზ-32" ორბიტული კომპლექსის ფრენის პროგრამის შესაბამისობაში მოჰყავს საბორტო ტექნიკური დოკუმენტაცია.

სამედიცინო კვლევის პროგრამის შესაბამისად, კოსმონავტებმა გაზომეს სხეულის მასა და შეაფასეს იმ ცალკეული ჯგუფების კუნთების მდგომარეობა, რომელთა დატვირთვა კოსმოსური ფრენის პირობებში უმნიშვნელოა.

გუშინ ეკიპაჟმა აღრიცხა „სალუტ-6" სადგურში სურსათ-სანოვაგის, წყლის, გამოსაცვლელი მოწყობილობისა და სახარჯო მასალების მარაგი.

სამედიცინო კონტროლის მონაცემებისა და ეკიპაჟის მოხსენებათა მიხედვით, კოსმონავტები თავს ჯანსაღად და მხნედ გრძნობენ. უწონობის პირობებისადმი ვლადიმერ ლიახოვისა და ვალერი რიუმინის ადაპტაციის პროცესი პრაქტიკულად დამთავრდა.

ორბიტული კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

8 მარტს მოსკოვიდან დელში გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, რომელიც ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად მიიწვია ინდოეთის მთავრობამ.

ინდოეთს მიმავალი ა. ნ კოსიგინი ტაშკენტში ჩამოხდა. აეროპორტში მას დახვდნენ და გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. რ. რაშიდოვმა, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ბ. უსმანხოჯაევმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. დ. ხუდაიბერდიევმა.

8 მარტს ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი შეხვდა უზბეკეთის სსრ ხელმძღვანელ მუშაკებს. ამხანაგმა შ. რ. რაშიდოვმა ილაპარაკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივნისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა, მეგზურ ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად ფაქიზებლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

ა. ნ. კოსიგინმა მხურვალედ მიულოცა რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, ყველა მშრომელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა უზბეკეთის სს რესპუბლიკის დაჯილდოება და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახელით მიგსალმა და ყოველივე საუკეთესო უსურვა მათ. საუბრის დროს იგი შეეხო ძირითად ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებასთან.

ა. ნ. კოსიგინი გაეცნო ქალაქის ახალშენებლობებს, ეწვია ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ტაშკენტის ფილიალს, შეამკო ყვავილებით ვ. ი. ლენინის ძეგლი ქალაქის ცენტრალურ მოედანზე და გვირგვინით — უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

დელი, 9 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). გულთბილად შეხვდა მეგობარი ინდოეთის დედაქალაქი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს, რომელიც დღეს ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა ინდოეთის მთავრობის მოწვევით.

ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

მსოფლიოს 40 ქვეყანაში

ᲐᲮᲐᲚᲘ საწარმოო მაჩვენებლებით დაიწყო ხუთწლედის მეოთხე წელი გორის ანალიზური ხელსაწყოების ქარხნის კოლექტივმა.

საწარმოო მარკის ღირსებისათვის ბრძოლის საქმეში ისინი ამ ბოლო დროს თვალსაჩინო შედეგებს აღწევენ. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ დღეს მათ ნახელავს მრავალი მომხმარებელი ჰყავს, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. გორელები თავიანთ პროდუქციას მსოფლიოს 40 ქვეყანაში გზავნიან.

საწარმოში სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია მემონტაჟე ცისანა გიუნაშვილი, რომელიც გრაფიკს მნიშვნელოვნად უსწრებს წინ და ყოველთვის უმაღლესი ხარისხის პროდუქციას უშვებს.

სურათებზე: ქარხნის საამწყობო საამქროს საერთო ხედი; ქვემოთ — მოწინავე მემონტაჟე ცისანა გიუნაშვილი.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ — ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲜᲝᲠᲛᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲣᲖᲘᲠᲗᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲖᲔ, ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ პროცესის ორგანული ნაწილი, ჩვენი, საბჭოთა ცხოვრების წესის განუყოფელი ნიშან-თვისება გახდა სოციალისტური შეჯიბრება. შრომითი მეტოქეობა ისე უნდა წარვმართოთ, რომ იგი შეესაბამებოდეს თავის მთავარ დანიშნულებას—იყოს მასების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების, სოციალისტური კოლექტივიზმის ჩამოყალიბების მძლავრი საშუალება. უნარიანად უნდა გამოვიყენოთ ცხოვრებით შემოწმებული ფორმები დღეგანდაგ სრულყოფთ შეჯიბრები, ვეძიოთ და ვამოვნახოთ ახალი ფორმები, ვიბრძოლოთ, რომ მოწინავე გამოცდილება ყველას და თითოეულს კუთვნილება გახდეს.

სწორედ ეს ამოცანებია დასახული სოციალისტური შეჯიბრების რესპუბლიკური კაბინეტის წინაშე, რომელიც 9 მარტს გაიხსნა თბილისში. იგი საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის პასუხისმგებელ მდივანს ზ. დვალს.

— ეს კაბინეტი, — თქვა მან, — გახდება თავიანთი ლაბორატორია, რომელიც შეისწავლის, პროპაგანდას გაუწევს და დანერგავს რესპუბლიკისა და ქვეყნის შრომითი კოლექტივების მიერ შეძენილი სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილებას. მან ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია, დაიხვეწოს შეჯიბრების ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები, ამაღლდეს მეთოდოლოგიური და საინფორმაციო მუშაობის დონე.

მეცნიერები - ეკონომისტები, ფსიქოლოგები, ისტორიკოსები, იურისტები, რომლებსაც ჩავაბამთ კაბინეტის მუშაობაში, შეიმუშავებენ მეთოდიკურ რეკომენდაციებს შეჯიბრების სხვადასხვა პრობლემებზე, პრაქტიკულ დახმარებას გაუწევენ კოლექტივებს წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის შრომითი მეტოქეობის ორგანიზაციაში. კაბინეტის სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭო შეჯიბრების ორგანიზატორებს უკარნახებს იმ შეფასებათა კრიტერიუმებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ერთმანეთს შევადაროთ და შეეფასოთ შეჯიბრების მონაწილეთა საქმიანობის შედეგები, შრომითი მეტოქეობის შედეგების შეჯამების ვადები და წესი, გამარჯვებულთა მორალური და მატერიალური წახალისების ღონისძიებანი.

როგორც ვიცით, ყოველგვარი თაოსნობის მნიშვნელობას და ღირებულებას განსაზღვრავს არა მარტო მოწინავეთა მიერ მიღწეული ეკონომიკური ეფექტი, არამედ ისიც, თუ რამდენად ფართოდ გავრცელდა იგი. ბუნებრივია, რომ სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარმართოს მთელი თავისი მუშაობა ჩვენმა კაბინეტმაც, რომლის დევიზი შეგვიძლია ასე ჩამოვაყალიბოთ: ის, რაც დღეს რეკორდია, ხვალ ნორმად უნდა იქცეს.

შეჯიბრების ორგანიზატორებისათვის კარგი დასაყრდენი გახდება ექსპრეს-ბიულეტენები, ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული საძიებლები, რომლებსაც კაბინეტი ეგზავნება. გადაწყვეტილია აქ გაიმართოს მოწინავე გამოცდილების სკოლების სემინარები, მეცადინეობა, შეხვედრები სოციალისტური შეჯიბრების მეწინავეებთან.

...სოციალისტური შეჯიბრების რესპუბლიკურ კაბინეტს დაეთმო საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლის ორი დიდი ოთახი, სადაც წარმოდგენილია ყოველივე საგულისხმო, რაც ახასიათებს დღეს რესპუბლიკაში ფართოდ გაშლილ შრომითს მეტოქეობას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, მეათე ხუთწლედის დავალებების წარმატებით შესრულებისათვის. ყველაზე თვალსაჩინო ადგილას წარწერილია ვ. ი. ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვები: „ჩვენ მივალწევთ კომუნისტური შრომის გამარჯვებას". ამ სიტყვებს შესანიშნავად ერწყმის სტრიქონები ლ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენებიდან სკკპ XXV ყრილობისადმი — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში": „ალვავაც ყოველნაირად განვავითაროთ სოციალისტური შეჯიბრება, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობა — ასეთია ჩვენი საერთო საბრძოლო ლოზუნგი".

სწორედ ამიტომ არის, რომ კაბინეტის ექსპოზიციაში ცენტრალური ადგილი

სიტყვა, რომელიც მშვიდობას, სულ აზრსა თესავს

უდიდესი დამრაზმველი და შთამაგონებელი ძალის დოკუმენტი

ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვა საბჭოთა ხალხის, მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. ამ სიტყვაში მოცემულია თანამედროვეობის ძირეული პრობლემების ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, წამოყენებულია სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისა და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფის, საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცების პროგრამა. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისათვის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის თვალსაჩინო პროგრამაა.

იმის გათვალისწინებით, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას, რომ მას დიდი ინტერესით ეკიდებიან კომუნისტები, კომკავშრომლები, ყველა მშრომელი, პარტიული სწავლების, ეკონომიკური განათლების სისტემაში, პროპაგანდის მასობრივ ფორმებში ეწყობა სპეციალური მეცადინეობა შემდეგი სანიმუშო გეგმით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის გელადი, კომუნისტური მშენებლობის შთამაგონებელი და ორგანიზატორია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვებაა. იმის დადასტურებაა, რომ მთელი ხალხი მხარს უჭერს ლენინურ კურსს, რომელსაც ახორციელებენ კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და მისი მეთაური ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

ლ. ი. ბრეჟნევი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი, სკკპ XXV ყრილობაზე მიღებული მისი პოლიტიკური ხაზისადმი საბჭოთა ადამიანების ნდობის შესახებ.

ეს ხაზი მიზნად ისახავს ეკონომიკის განვითარებასა და მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებას, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფასა და ჩვენი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ძმური მეგობრობის განმტკიცებას, საბჭოეთის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას და მტაცე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფას. სწორედ ეს პოლიტიკური ხაზი, საბჭოთა ადამიანების თავდადებულ შრომასთან ერთად, უდევს საფუძვლად ჩვენი საზოგადოების წარმატებებს. სწორედ ეს პოლიტიკური ხაზი განსაზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მთელი მუშაობის შინაარსს.

კანონების კარგი სისტემა, მათი განუხრელი შესრულება-სწორედ ეს არის კანონიერება, სწორედ ეს არის მართლწესრიგი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სოციალისტური ცხოვრების წესი, სოციალისტური დემოკრატია.

გულმოდგინედ სრულვყოთ პარტიული ორგანიზაციების, საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის საქმიანობა, გავზარდოთ მათი მებრძოლუნარობა. თითოეულ საბჭოთა ადამიანს ჩაუნერგოთ მაღალი იდეურობა, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, ზნეობრივი სიწმინდე.

თითოეული საბჭოთა ადამიანი უნდა გრძნობდეს კავშირს სახელმწიფო საქმეებთან, დარწმუნებული იყოს, რომ მის აზრს, მის ხმას ყურად იღებენ და გაითვალისწინებენ დიდი თუ მცირე გადაწყვეტილებების შემუშავების დროს.

გადაჭრით, უკომპრომისოდ ვებრძოლოთ კანონიერების დარღვევების, კრიტიკის ჩახშობის, საქმის გაჭიანურების, ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის ფაქტებს. მეტი საჯაროობა, მეტი ყურადღება ადამიანთა საჭიროებებისა და აზრებისადმი, მეტი უშუალო, დაინტერესებული ურთიერთობა მასებთან — ასეთი უნდა იყოს სახალხო დეპუტატთა ყველა საბჭოს მუშაობა.

საქართველოს ყველა მშრომელი საფუძვლიანად სწავლობს ქალაქ ნოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვას.

მომჭირნედ, ყაირათიანად

თბილისი ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის წითელ კუთხეში თავი მოიყარეს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი საუბარი რგოლის სკოლის მსმენელებმა. პროპაგანდისტმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა რაციონალიზატორმა, ინჟინერმა მ. კბილაძემ, მათ გააცნო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წინასაარჩევნო სიტყვის ძირითადი დებულებები და დასკვნები.

სიტყვა წარმოთქვა რამდენიმე ორდენისა და მედლის კავალერმა, ლენინის ჩქარსნული დამუშავების მეთოდის დანერგვის ერთ-ერთმა ინიციატორმა, ჩარხების გამწყობა ა. მარგველაშვილმა.

— ამომრჩეველთა კრებაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში, თქვა წარმოების ვეტერანმა, მოცემულია უკანასკნელ წლებში ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უდიდეს წარმატებათა ღრმა ანალიზი. ამ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია აგრეთვე ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავების ახალი დიდებული პროგრამა. ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი ჩვენგან, რიგითი მშრომელთაგან მოითხოვს პირადად ვმონაწილეობდეთ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაში.

— პარტიამ საბჭოთა ადამიანებს მოუწოდა — თქვა სკკპ ლობა და დისციპლინა მუშაობის ყველა უბანზე — ეს ამომრჩეველთა ერთ-ერთი ძირითადი განაწესია.

მტკიცედ სრულვყოთ დაგეგმვა, მეურნეობრიობის მეთოდები, მაჩვენებლებისა და მატერიალური სტიმულირების სისტემა. ავამაღლოთ საბჭოების როლი ეკონომიკურ საქმიანობაში, კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფაში, უწყებრიობისა და კუთხურობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეკონომიკური პროგრესი სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უფრო სრულად უზრუნველყოფის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი აყვავების საძირკველი, მატერიალური საფუძველია.

საბჭოთა ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესება: მშრომელთა ხელფასისა და რეალური შემოსავლის გადიდება, საზოგადოებრივი ფონდების გაზრდა, ბინების მშენებლობა პარტიის უპირველესი საზრუნავია. ეკონომიკური პროგრესი, ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება წარმოუდგენელია ისე, თუ არ გვექნა თანამედროვე, მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობაში წარმატების საზომი არა მარტო მოწეული მოსავალი, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ისაა, რასაც ვაწვდით მომხმარებელს — მაღაზიებს, საკოლმეურნეო ბაზრებს, საბჭოთა ადამიანების სუფრას.

საიმედოდ დავიცვათ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომა, განვამტკიცოთ სამშობლოს თავდაცვითი ძლიერება, — ეს ამომრჩეველთა უმნიშვნელოვანესი განაწესია.

სკკპ ლენინური საგარეო პოლიტიკის წარმატებანი

თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია სოციალიზმის სამყაროს მტკიცე, დინამიკური განვითარება და საერთაშორისო ვითარებაზე მისი კეთილნაყოფიერი გავლენის განუხრელი ზრდა. მოძმე სოციალისტური ქვეყნების მრავალმხრივი ურთიერთობის გაღრმავება.

აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ხალხების ახალი გამარჯვებანი ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

მშრომელთა კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელოვნად გააქტიურება კაპიტალის ქვეყნებში, კომუნისტური და მუშათა პარტიების გავლენის განმტკიცება.

პეკინის ხელმძღვანელთა დიდმპყრობელური, ჰეგემონისტური პოლიტიკის ვერაგული, აგრესიული არსი. ხელები შორს სოციალისტური ვიეტნამისაგან!

გამალებული შეირაღების შეწყვეტა, მსოფლიო ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილება აცობრიობის ყველაზე მთავარი და საჭირბოროტო ამოცანაა.

სოციალისტური ქვეყნების კოლექტიური ინიციატივები, რომელთა მიზანია საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღება, განიარაღება. შეტევითი სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახალი შეთანხმებების შემუშავება და მიღება მშვიდობის განმტკიცების ერთ-ერთი ყველაზე დიდი ღონისძიებაა.

სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკის ზეგავლენით ევროპაში პოლიტიკური კლიმატის პოზიტიური შეცვლა, დაძაბულობის შენელების გავრცელება სამხედრო დარგზე მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების უპირველესი ამოცანაა. საბჭოთა კავშირის ახალი წინადადებანი იმის შესახებ, რომ სრულიად ევროპის თანმხირის მონაწილე სახელმწიფოებმა იკისრონ ვალდებულება პირველებმა არ გამოიყენონ არც ბირთვული, არც ჩვეულებრივი შეიარაღება, რომ მათ შორის დაიდოს თავდაუსხმელობის პაქტი.

საბჭოთა კავშირის მიერ ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის, ხალხთა ბრძოლის მხარდაჭერა სსრ კავშირის კონსტიტუციაში დამკვიდრებული ჩვენი საგარეო პოლიტიკის პრინციპია.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შესწავლისას რეკომენდებულია ამომრჩევლებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელთა წინასაარჩევნო გამოსვლების გამოყენება.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა მოსკოვის ბაუმანის ოლქის ამომრჩეველებთან შეხვედრაზე. სკოლის მსმენელებთან ერთად მეცადინეობას ესწრებოდა კოლმეურნეთა დიდი ჯგუფი. მომხსენებელმა პროპაგანდისტმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. ნიფარიშვილმა მსმენელთა ყურადღება მიაპყრო ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემულ ძირითად დებულებებსა და დასკვნებს.

სკოლის მსმენელებმა ნ. ახვლედიანმა, შ. ალოიურმა, ვ. ბურდულმა, ვ. ლობჟანიძემ თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა თითოეული მშრომელისათვის მოქმედების საბრძოლო პროგრამა იქნება ხანგრძლივი პერიოდისათვის.

ამავე დროს ორატორებმა ილაპარაკეს წარმოების გამოუყენებელი რეზერვების შესახებ, აღნიშნეს, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სარწყავი წყლის რაციონალურ გამოყენებას, შეუნელებელი ბრძოლა წარმოებდეს პროდუქციის დანაკარგების წინააღმდეგ. ისინი საგანგებოდ შეეხნენ მეცხოველეობის განვითარების საკითხებს, საზოგადოებრივი ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების აუცილებლობას.

ზვითელწყარო. სოფელ ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის პარტიულმა კომიტეტმა განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყონ უკეთ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წინასაარჩევნო სიტყვის შესწავლა მოსახლეობაში.

დაახლოებით 700 აგიტატორი განუმარტავს მშრომელებს ისტორიული სიტყვის შინაარსს. მოწინავე აგიტატორებმა რ. ჯამასპიშვილმა, მ. მაძღარაშვილმა, გ. ჩიგიტაშვილმა, ი. ჯანაშვილმა და სხვებმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემული თეორიული დებულებანი კოლმეურნეობის პრაქტიკულ ამოცანებს დაუკავშირეს.

კოლმეურნეობის პარტიულმა კომიტეტმა უახლოესი მომავლის სამუშაო გეგმაში შეიტანა სამეცნიერო — პრაქტიკული კონფერენციის მოწყობა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შესახებ.

(საქინფორმი).

ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირით

XXV ყრილობის დელეგატმა, რეკომბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ხარატმა გ. გაჩეჩილაძემ, — დამკვრელური შრომის წლად გადაიქცინ ხუთწლედის მეოთხე წელი. დაე, ყოველმა ჩვენგანმა, როცა იგი ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შესწავლას იწყებს, ჰკითხოს საკუთარ თავს, ყველაფერი იღონა თუ არა, რათა უფრო ნაყოფიერად, მაღალხარისხოვნად იშრომოს, დაზოგოს მასალები, უქმად არ დაკარგოს დრო. მე და ჩემმა ამხანაგებმა, კერძოდ, გადავწყვიტეთ, 1980 წლის დამლევამდე იმდენი ელექტროვაგონი შევაკეთოთ, რამდენიც შეკეთდა ხუთწლედის განვლილ წლებში.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლისადმი მიძღვნილი მეცადინეობა და საუბრები მოეწყო საწარმოს ყველა საამქროსა და უბანში. ამ სამუშაოს ეწევა 80 პროპაგანდისტი, მომხსენებელი.

(საქინფორმი).

ფვლილი მიუძღვით სახელმწიფო საქმეებში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მეორე დღეს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო, სამონტაჟო სამმართველოების პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულ მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში გაიმართა მეცადინეობა, რომელიც მიეძღვნა თემას: „ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტი“.

„კაშხალმშენის“ სამშენებლო სამმართველოში ეკონომიკური განათლების სკოლის მეცადინეობაზე ყველა მსმენელის აზრი გამოთქვა მებეტონე გ. ხელაიამ.

— ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში თქვა, რომ პარტია არჩევნებს ეგებება მრავალმხრივი საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის ვრცელი პროგრამით. ჩვენ, ენგურის გიგანტის მშენებლები, ვგრძნობთ, რომ წვლილი მიგვიძღვის სახელმწიფო საქმეებში, დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს აზრს, ჩვენს ხმას ყურად იღებენ და გაითვალისწინებენ დიდი და მცირე გადაწყვეტილებების შემუშავებისას.

მსმენელებმა დ. შალამბერიძემ, ა. კაპანაძემ და სხვებმა აღნიშნეს, რომ არჩევნებში ხალხის მიერ პარტიის ბრძნული პოლიტიკის სრული მოწონება იმის საწინდარია, რომ მის მიერ შემუშავებული კომუნისტური მშენებლობის გეგმები განხორციელდება.

— მშენებლობის პარტიულმა ორგანიზაციამ დასახა ღონისძიებათა კომპლექსი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წინასაარჩევნო სიტყვის პროპაგანდისათვის, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს პარტკომის მდივნის მოადგილემ დ. ჩაჩუამ. — იგი ითვალისწინებს პროპაგანდისტთა სამეცნიერო-მეთოდიკური კონფერენციებისა და სემინარების მოწყობას, მოძრაობის — „პროპაგანდისტი — ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს“ — განვითარებას. პოლიტიკური განათლების კაბინეტმა და მასთან შექმნილმა მეთოდიკურმა საბჭომ უკვე შეიმუშავეს მეთოდიკური მითითებანი, სტენდზე „პლატფორმა, რომლითაც ჩვენი პარტია გამოვიდა არჩევნებში“, წარმოდგენილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ამომრჩეველებისადმი, წინასაარჩევნო კრებებზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, პარტიისა და სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელების გამოსვლის ტექსტი, ბევრი მასალა, რომლებიც ისახავენ ეკონომიკის განვითარებასა და მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებას, სოციალისტური დემოკრატიის განუხრელ სრულყოფას, რესპუბლიკის ენერგეტიკის განვითარებაში ენგურჰესის მნიშვნელობას, მშენებლობის მოწინავეთა შრომას. (საქინფორმი).

ჟურნალისტთა ტელეეკრანთან

ეს ბელეტრისტიკას შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდა თვალს ყველა. ჟურნალისტმა — თბილისის რამდენიმე საწარმოში მოაწყვეს ეს საუბრები. თემა — სოციალისტური შეჯიბრება — პირველად როდი იყო ტელეეკრანზე, მაგრამ კვლავინდებურად მაყურებელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის ნაცნობი კორპუსები. ეკრანიდან შემოგვცქერის კაცი. რა თქმა უნდა, ბევრმა მაშინვე იცნო მეკოპეთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი გ. კურტანიძე. იგი დინჯად, საზრიანად საუბრობს თავის კოლექტივზე. არაფერს არ ალამაზებს. ფაქტები თავისთავად მეტყველებს. ეს ქარხანა ჩვენი ქვეყნის 100-ზე მეტ საწარმოს აწვდის სხმულებს. მსმენელებმა რომ შეაქვეთები ჩაშალონ, ამას მაშინვე იგრძნობენ სხვა ქარხნები. ამიტომ ბრიგადას ასეთი პრინციპი აქვს: არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო — მათი მიზეზით. ასეთი მოწოდებით მიმართეს მათ რესპუბლიკის საწარმოო კოლექტივებს, მათ ინიციატივას მხარი დაუჭირა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ახალი წარმატებებისათვის აღფრთოვანა ისინი ბრიგადისადმი ლ. ი. ბრეჟნევის წერილმაც. მუშები ნამუსიანად შრომობენ. ხუთწლედის მესამე წლის დავალება ვადამდე შესრულდა. ზემოხსენებული გადაცემის დროს მუშებს, პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს, რომლებიც დიდ შრომითს ენთუზიაზმს აღნიშნავდნენ, უყურადღებოდ არ დარჩენიათ წარმოების ჩრდილოვანი მხარეებიც. ვისაც უნდა აეღო სიტყვა, მუდამ იგრძნობოდა მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის კილო. პარტკომის მდივანმა ა. ხუციშვილმა თვითკრიტიკულად განაცხადა, კურტანიძის მეკოპეთა ინიციატივას თვით ქარხანაშიც კი ყველა ბრიგადამ არ დაუჭერიაო მხარი.

მაშინ ერთ-ერთი გამოხმაურება გამოგზავნა თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის ხარატმა ზ. ფირცხალაიშვილმა. „სოციალისტური შეჯიბრების შესახებ გადაცემებს თვალყურს ვადევნებთ. სწორად იქცევთო, რომ ტელევიზიის დიდი შესაძლებლობანი შრომითი მეტოქეობის განვითარების სამსახურში ჩაიყენეთ“, — წერდა ამხანაგებს დავალებით ზ. ფირცხალაიშვილი.

გამოხდა ხანი და ტელეკამერები უკვე ელმავალმშენებელთა საამქროებში იდგა. ახლა გადაცემის თემა იყო ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება, შრომის შედეგების საჯაროობა. შეჯიბრების მონაწილეებთან უშუალო დიალოგების გარდა, ტელეყურნალისტებმა უნარიანად გამოიყენეს თვალსაჩინოებანი, გრაფიკები, აღრიცხვის სხვა მეთოდები, რომლებიც მშრომელებს ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულების ორიენტაციას აძლევენ. მსმენელთა ინიციატივის გარდა, ფართოდ აისახება რუსთაველი მეტალურგების, ქუთაისისა და თბილისის პირველი მაისის რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების პატრიოტული თაოსნობა, რომლებმაც გადაწყვეტეს უჩამორჩენილებოდ იმუშაონ. ტელევიზია თაოსნობათა ჩასახვასა და განვითარებას გვიჩვენებს იმ ცვლილებათა პრიზმაში, რომლებიც საქართველოში მოხდა იმ შემოქმედებითი და აღმშენებლობითი ვითარების მეოხებით, უკანასკნელი წლების მანძილზე რომ შეიქმნა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა გავლენით.

ტელეეკრანზე დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას. აქ საინტერესო იყო პროგრამა „ორი საწარმო — ორი შედეგი“, რომელშიც ერომანეთს ადარებდნენ და აანალიზებდნენ საგარეჯოს ჩამორჩენილი საშენ მასალათა კომბინატისა და თბილისის მოწინავე კერამიკული კომბინატის ეკონომიკურ შედეგებს. ეს საწარმოები ერთ სამინისტროს ეკუთვნის. ეკრანმა დაგვარწმუნა: იქ, სადაც ყურადღება ეთმობა შრომის ორგანიზაციას, სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობას, სადაც სტიკვით კი არა, საქმით ინერგება მოწინავე გამოცდილება, წარმატებასაც აღწევენ. ტელეყურნალისტებმა, როგორც ჩანს, უფრო ხშირად უნდა შეუდარონ ერთმანეთს არა მარტო ცალკეული კოლექტივების, არამედ აგრეთვე მთელი რაიონებისა და დარგების მიღწევები. ეს „გამაფრებს“ შრომითს მეტოქეობას და ეფექტიანობას მიანიჭებს მას.

სხვათა შორის, საქართველოს ტელევიზია ხშირად აცნობს მაყურებლებს მოძმე რესპუბლიკებში შეჯიბრების ორგანიზაციის საუკეთესო მაგალითებს. „მოამბის“ პროგრამის სპეციალური გამოშვებანი მიეძღვნა საქართველოს მახარაძის რაიონისა და უჭრაინის გენიჩესკის რაიონის მეგობრობისა და შრომითი მეტოქეობის მე-40 წლისთავს. ძალზე საინტერესო იყო გადაცემა თბილისის „ელექტროაპარატის“ გაერთიანებისა და სომხეთის „ელექტროაპარატის“ საწარმოთა შეჯიბრების შესახებ.

ამას წინათ პარტიის თბილისისა და ქუთაისის საქალაქო კომიტეტების ინიციატივით შეიქმნა ხარისხის მართვის მწყობრად მოქმედი კომპლექსური სისტემები. ამან ქალაქების სამრეწველო საწარმოებს საშუალება მისცა უკანასკნელი წლების მანძილზე თითქმის გაეორკეცებინათ ხარისხისნშნიანი პროდუქციის გამოშვება. ცხადია, ესოდენ დიდმნიშვნელოვანი გარემოება ვერ გამორჩებოდათ ტელევიზიის მუშაკებს. რამდენიმე გადაცემა სწორედ ამ გამოცდილებას მიეძღვნა. სამწუხაროდ, ხარისხისათვის ბრძოლის გაშუქებაში საქართველოს ტელევიზიას არავითარი სისტემა არა აქვს; ასეთი პროგრამები ძალზე იშვიათია და ძირითადად საინფორმაციო ხასიათი აქვს.

აი უკვე რამდენი წელია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან მუშაობს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კომისია. ასეთივე კომისიები შექმნილია საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან. მათი პრაქტიკული საქმიანობა ფრაად საინტერესოა და ტელევიზია ხშირად უთმობს ეკრანს. ეს, რა თქმა უნდა, კარგია. მაგრამ, თუ წარმოებიდან მოწყობილ სხვა გადაცემებს კრიტიკული მოტივები ახლავს, ადგილობრივი კომისიების მუშაობის ჩრდილოვან მხარეებს, შეჯიბრების ორგანიზაციის პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებს კრიტიკის ნიავს არ აკარებენ. და კიდევ ერთი რამ. ტელეყურნალისტები ჯერჯერობით ვერ აშუქებენ სოციალისტური შეჯიბრების ასპექტებს, ვერ იყენებენ მას იმისათვის, რომ ჩაუნერგონ მშრომელებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს სიტყვის გაუტეხლობას. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ და სხვა ნაკლოვანებებზე პრინციპულად იყო მითითებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ დადგენილებაში მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა ქმედითობის უზრუნველყოფად. რესპუბლიკური გაზეთების, ტელევიზიისა და რადიოს მუშაობის შესახებ. ხომ საჭიროა თვალი გავადევნოთ შრომითი მეტოქეობის მსვლელობას ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის ყველა ეტაპზე.

საერთოდ კი საქართველოს ტელევიზიის შემოქმედებითი კოლექტივი სოციალისტური შეჯიბრების გაშუქებაში თბილისის ბრძოლის ადგილ. მაგრამ ტელევიზიას შეუძლია კიდევ უფრო ეფექტიანად დაეხმაროს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმებისა და ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების ძალების დარაზმვაში.

გ. ლეგანიძე.
(„ბრავდის“ კორ.).

ქ. თბილისი.

ПРАВДА

9-III 1979 წ.

ГАЗАФХУЛИ ГВИКМОГС!

ГАЗАФХУЛИС არც ერთ დდეს უმად არ კარგავენ აჭარელი მეჩაიეები. ისინი უკვე მექანიზებულად კრეფენ ჩაის უხეშ ფოთოლს — ლაო-ჩაის, რომლისგანაც ფილა-ჩაი მზადდება.

ჩაის კრეფის პირველი დღიდანვე დაწინაურდა ქობულეთის რაიონის ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეოთხე ბრიგადა, რომლის თითოეული წევრი ყოველდღიურად ნორმაზე გაცილებით მეტს, 150-160 კილოგრამ ნედლეულს კრეფს.

სურათზე: ზემოაღნიშნული ბრიგადის მოწინავე მკრეფავი ლარისა სააკიანი.

ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ბეჯითად იშრომეს „სოფლტექნიკის“ თერჯოლის რაიონული განყოფილების მექანიზატორებმა იმისათვის, რომ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისთვის დროულად მოემზადებინათ ტექნიკა. ამ საქმეში თავი ისახელეს და გრაფიკის გასწრებით მუშაობენ შემკეთებლები გ. სახელაშვილი, ა. ზარნაძე, გ. გიორგაძე, ვ. გავაშელაშვილი და სხვ.

სურათზე: ბრიგადირი რომან ბარდაველიძე (მარჯვნივ) და შემკეთებელი გურამ სახელაშვილი ტრაქტორის შეკეთების დროს.

ო. ბერეზჩიკაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ყოველწლიურად უხვ მოსავალს იწევენ ხელოვანი რაიონის სოფელ ერგეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მებოსტნეები. მათ წლეულს უკვე პირველი მოსავალი მიიღეს. ათობით ტონა ბოლოკი გაგზავნეს სავაჭრო ქსელში.

ბრიგადა, რომელსაც ნური ცინცაძე ხელმძღვანელობს, ზრუნვას არ აკლებს ბოსტნეულის ნათესებს.

სურათზე: სოფელ ერგეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მებოსტნე მერი დიასამიძე ბოლოკის მოსავლის აღების დროს.

ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ДАЖИЛДОЕБА

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 7 მარტის ბრძანებულებით ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ამ წლის 7 მარტს ბრძანებულებით ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ახალი ამბების სააგენტოს საქართველოს განყოფილების გამგე ამხ. გუგული (გურამ) გრიგოლის ძე **ბუხნიკაშვილი** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 7 მარტის ბრძანებულებით მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის ბრიგადირი ამხ. გიორგი ნიკოლოზის ძე **კურტანიძე** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ამ წლის 7 მარტს ბრძანებულებით ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი და უმწიკლო მუშაობისათვის სოხუმის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის ტელეფონისტს, ამკამად პენსიონერს, ამხ. ზინაიდა სამსონის ასულ **ჭანბას** მიენიჭა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

საპატიო წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 7 მარტის ბრძანებულებით კავშირგაბმულობის ორგანოებში ხანგრძლივი და უმწიკლო მუშაობისათვის სოხუმის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის ტელეფონისტს, ამკამად პენსიონერს, ამხ. ზინაიდა სამსონის ასულ **ჭანბას** მიენიჭა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

თაობათა ესტაფეტა

ფუძე ნუ მოგვეშალოს

ჩვენს კოლმეურნეობას სათოდუოს, საჭკადუოს, საფარცვანიოს, ნაწულუკუსა და სოფლის სხვა უბნების გლეხთა ჯგუფურმა გაერთიანებებმა ჩაუყარა საფუძველი. რა შორი და სახელოვანი გზაა განვლილი იმ საწყისიდან დღემდე — სოფელ რუხის მძლავრი კოლმეურნეობის „საქართველოს“ ჩამოყალიბებამდე.

ნიკო დადიანის კუთვნილი მამული, ისლით დახურული ფაცხები, გაღატაკებული სოფლები, უსიერი ტყეებით დაფარული მთები, სარჩოდ, სანადიროდ და სალაღობოდ რომ ჰქონდა ერთ ფეოდალს, დღეს სულ სხვაგვარად გამოიყურება. სიღარიბე გაქრა სოფლიდან. ნეონის ლამპიონებით გაჩირაღდნებულ ქუჩებს ორსართულიანი ოდა-სახლები ამშვენებს, ისეთები, დადიანების სასახლეებს არაფრით რომ არ ჩამოუვარდებიან.

სასოფლო-სამეურნეო არტელის დაარსებასა და განმტკიცებაში სხვებთან ერთად ჩვენს ოჯახებსაც მიუძღვის ამაგი. ბაბუაჩემი კონსტანტინე როგავა საკოლმეურნეო მოძრაობის გარიჟრაჟიდან, 1927 წლიდან ხელმძღვანელობდა გლეხთა გაერთიანებების თერმეტი ჯგუფიდან ერთ-ერთს — ნაწულუკუს ჯგუფს. იგი ბოლომდე კოლექტიური შრომის-ენთუზიასტი დარჩა. ერთგულება და შრომისმოყვარეობა შვილებსაც უანდერძა. სასოფლო-სამეურნეო არტელის მოამაგე იყო მისი ოთხივე ვაჟი: ვალერიანი, ვანო, კაკული და დამიანე. კაკული ომში დაიღუპა, სხვებმა შეძლეს მშობლიური სოფლისა და კოლმეურნეობისათვის სამსახური გაეწიათ.

მამაჩემი ვალერიანი ბაბუასავით გამრჯე და მუხლჩაუხრელი მახსოვს. ორმოცდაათ წელიწადს იმუშავა კოლმეურნეობაში, რვა წლის განმავლობაში ერთ-ერთ საწარმოო ბრიგადას ხელმძღვანელობდა.

მე ჩემი ოჯახის ვეტერან კოლმეურნეთა მესამე თაობა გახლავართ, ახალი თაობა კი ჩემი შვ

საზოგადოება და ავტომობილი

დროის მოთხოვნა

□ საგზაო მოძრაობა რომ ნამდვილად უსაფრთხო იყოს □ კანონის ჰუმანურობას დათვურ სამსახურად ნუ გადავაქცევთ

წერილი რედაქციას

თბილისში დავიბადე და გავიზარდე, ახლა მოხუცებულობაში შევდგი ფეხი, თითქმის სამოცდაათ წელს მივაღწიე და არ მახსოვს, რომ რედაქციისთვის მიმემართა საჩივრით, თუმცა თქვენი გაზეთის აქტიური მკითხველი ვარ. როგორც ძველ თბილისელს, მეც ძალიან მიყვარს თბილისის ქუჩებში სიარული. ვტკბები ჩემი მშობლიური ქალაქის სილამაზით, მაგრამ ბოლო ხანს ქუჩაში თავის გამოყოფაც კი მეზარება. რადგან ავტომანქანის ზოგიერთი მფლობელი, აქაოდა, რკინის აბჯარში ვზივარო, ფეხით მოსიარულეს აინუნშიაც არ აგდებს და არხეინად დააჯირითებს მანქანას.

რაღა თავი შეგაწყინოთ, გასულ ოთხშაბათს გადასასვლელზე სასტუმრო „აჭარასთან“ ტაქსიმ წითელ შუქნიშანზე ჩაიქროლა და კინაღამ მისი მსხვერპლი გავხდი. რა თქმა უნდა, ნომერს თვალი ვერ მოვკარი, ისეთი სისწრაფით მიდიოდა. ეს ერთეული შემთხვევა როდია. ასევე მიდა თქვენი ყურადღება მივაქციო იმ ამბავს, როცა თავხედი მძღოლები ავტომობილს ტროტუარზე აყენებენ და ჩვენ, ქვეითებს, გავლის საშუალება არა გვაქვს. ამაზე რატომ დუმს ავტოინსპექტორი? მე არ მინახავს, რომ ავტოინსპექტორს ამ დარღვევისათვის გაეფრთხილებინოს ან დაესაჯოს მძღოლი.

თბილისში, მთელ რიგ გზაჯვარედინებზე, პიკის საათებში თუ ისედაც, ხშირია ავტომობილთა ჩახერგვა. თავის გასამართლებლად იმ აზრის მოშველიება, რომ, აქაოდა, თბილისის რელიეფი რთულია და დამატებითი, პარალელური გზების გაყვანა არ ხერხდებაო, მთლად სწორი არ არის, ავტომობილთა ჩახერგვასა და გზაზე „საცობების“ წარმოქმნაში ხშირად ბრალი მიუძღვით უდისციპლინო მძღოლებს და საგზაო ზედამხედველობის ზოგიერთი უხერხემლო ინსპექტორის მცდარ მოქმედებას.

არცთუ ისე ვიწრო გზაჯვარედინია პლეხანოვის პროსპექტისა და ჩელიუსკინელების ქუჩის გადაკვეთა, მაგრამ აქ ხშირად შეხვდები ჩაკეტილ გზას, ერთმანეთში ჩახლართული მანქანების ნაკადებს, გაუთავებელ საყვირებს.

მე, როგორც თბილისის პატრიოტს, მინდა ჩვენს ქალაქში ყოველმხრივ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი იყოს.

გთხოვთ გამოავლინოთ უდისციპლინო მძღოლები და თქვენი გაზეთის საშუალებით შეაგონოთ, რომ ასეთი საქციელი არ ეკადრება წესიერ მოქალაქეს.

ა. ლეჟავა,
პენსიონერი.

თბილისელებს ჯერ კიდევ არ დავიწყებიათ სურათი, როცა ქუჩაში აშკარად გამოჩენილ ავტომობილს ეივილ-ბივილით აგდებენ ხოლმე გოგო-ბიჭები, გაჩერებისთანავე გარს შემოეხვევიან და თვალებდაჭყეტილნი ათვალიერებდნენ საუკუნის საოცრებას.

დღეს კი სულ სხვა რამ იწვევს გაოცებას და გაკვირვებას — ჩვენი რესპუბლიკის ქუჩებში და გზებზე ავტომანქანების სულ უფრო ჩარდი ნაკადი, გამუდმებული ეკის საათი ადრე დილიდან გვიან ღამემდე, განსაკუთრებით კი ბინლიში...

...მივმართოთ სტატისტიკას: 1945 წელს საქართველოში სულ 7291 სატვირთო, მსუბუქი ავტომობილი და მოტოციკლი ყოფილა, მათგან ტექნიკურად გამართული და მომუშავე — მხოლოდ 5.690. მაგრამ ტრანსპორტის სიმცირის მიუხედავად, იმდენად დაბალ დონეზე მდგარა მძღოლთა საწარმოო და ქუჩაში მოძრაობის დისციპლინა, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად 281 კაცი გარდაცვლილა და 714 მძიმედ დაშავებულა. ამრიგად, ყოველ 1000 ავტომობილზე 94 შემთხვევა ხდებოდა. 20 წლის შემდეგ კი რესპუბლიკის სრულ მარტო საკუთარ მსუბუქ ავტომობილთა რიცხვი 33.824-ზე გაიზარდა, ხოლო საერთო ჯამმა 100 ათასს ბევრად გადაჰარბა. თუმცა იმ დროსთან შედარებით ყოველ ათას მანქანაზე მოსულ საგზაო სატრანსპორტო შემთხვევათა და ამის შედეგად დაშავებულ და გარდაცვლილ ადამიანთა შეფარდება ბევრად შემცირდა და მხოლოდ 15 შეადგინა, სამაგიეროდ აბსოლუტური მაჩვენებელი მკვეთრად გაიზარდა.

1965 წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა 1570 სატრანსპორტო შემთხვევა, რის შედეგადაც გარდაიცვალა 539 და მძიმედ დაშავდა 1557 კაცი.

შარშან ყოველ ათას ავტომობილზე მომხდარი საგზაო შემთხვევების შეფარდება მინიმუმამდე— ცხრამდე შემცირდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ავტომობილიზაციის გაიერაციიდან დღემდე ჩვენში არც ერთ წელიწადს არ მომხდარა იმდენი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, თავისი მძიმე შედეგებით, რამდენიც 1978 წელს მოხდა: 3.099 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, 969 გარდაცვლილი და 3.733 მძიმედ დაშავებული კაცი — აი შარშანდელი საკალო სტატისტიკა.

მიზეზი? ავტომობილების სიმრავლე? — თუ ზემოთმოყვანილ სტატისტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, შეგვიძლია ვთქვათ — არა!

მიზეზს, უწინარეს ყოვლისა, დისციპლინის, გზებზე მოძრაობის წესების დაუცველობასა და კონტროლის მოდუნებაში ვხედავთ. ზოგიერთი ავტომობილისტი იქამდეც კი მივიდა, რომ ვერ წარმოუდგენია გზებზე მოძრაობის წესების დაურღვევლად სიარული, იგი არად აგდებს შუქნიშნებს, საგზაო მაჩვენებლებს, გზების მონიშვნის ხაზებს და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ამას ზოგჯერ „ვერ ამჩნევენ“ საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორები. ეს რომ ლიტონი სიტყვები არ არის, ამას შემდეგი მაგალითებიც დასტურებს...

სამშაო საათებში ავტომობილთა უმრავლესობას საკუთარი ავტომობილები შეადგენენ. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს საკუთარი ავტომობილების მძღოლები ანსად არ მუშაობენ ან აცდენენ სამუშაო საათებს. ამას ისიც ემატება, რომ მათი უმრავლესობა ან ახალგაზდა და გამოუცდელია, ან არად აგდებს გზებზე მოძრაობის და საერთოდ თანაცხოვრების წესებს. მოძრაობენ მათთვის სასურველი სიჩქარით, აძლევენ ხმოვან სიგნალებს, გადასასვლელებზე გზას არ უთმობენ ფეხით მოსიარულეებს, არ ემორჩილებიან საგზაო ნიშნებს და შუქნიშანთა მოთხოვნებს. იზრდება ხმაური.

16 თებერვალს შუადღისას ლენინის ქუჩაზე, რუსთაველის მოედნიდან მომავალმა „გაზ-24“ მარკის ვოლგამ (სახელმწიფო ნომერი 38-83 გაუ) ისე თამამად, უყოყმანოდ გადაკვეთა ორმაგი ღრეჩოლა ხაზი და ბელინსკის ქუჩაზე აუხვია, თითქოს არაფერიაო. ავტომობილი ეკუთვნის წყალტუბოში, ძერჟინსკის ქუჩა № 1-ში მცხოვრებ ერასტი ნუცუბიძეს, რომელსაც მინდობილობით მართავდა ქუთაისში მცხოვრები, წყალტუბოს რაიონის მაღლაკის მებოსტნეობა-მერძეველის საბჭოთა მეურნეობის ზოოტექნიკოსი, თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების მესამე კურსის სტუდენტი ავთანდილ შოთას ძე დვალი.

22 თებერვალს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისა და სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებმა თბილისში 10-დან 12 საათამდე მოაწყვეს რეიდი იმ საკუთარი ავტომობილების მძღოლთა გამოსაცვლელად, რომლებიც არღვევენ მოძრაობის წესებს და ამასთანავე აცდენენ სამუშაო საათებს.

შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანს— წითელ ფერს არ დაემორჩილნენ: ჯახუთი ალექსანდრეს ძე ბეკოშვილი, თბილისის პირველი მაისის რაიონის არასაუწყებო დაცვის თანამშრომელი, რომელიც საკუთარ „ვოლგას“ მართავდა; ვახტანგ ბესარიონის ძე მაღალაშვილი, თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების № 1 მსუბუქი ტაქსების საწარმოს ადგილკომის თავმჯდომარე, რომლის „ვოლგის“ სახელმწიფო ნომერია 11-67 გრო; ირაკლი ნიკოლოზის ძე ჩოხელი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ქალაქგაფორმების უფროსი საქონელმცოდნე, რომელიც საკუთარ „ჟიგულს“ მართავდა, ივანე ალექსანდრეს ძე კვეზერელიანი, თბილისის № 11 ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარი ექიმი, მისი „მოსკვიჩის“ სახელმწიფო ნომერია 24-02 გგვ; ამური დავითის ძე თაკაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის ასისტენტი.

ყველა იმათი ჩამოთვლა, ვისაც არაფრად მიაჩნია შუქნიშნების მეტად საჭირო მოთხოვნები, შეუძლებელია, იმდენად ბევრნი არიან ისინი. განა ამ ადამიანებს შეუძლიათ თქვან: გვიყვარს ჩვენი ქალაქი, თბილისის პატრიოტები ვართო?

ბევრი ჩვენი ავტომობილისტი ვერ ან არ ამჩნევს საგზაო ნიშნებს — „გაჩერება აკრძალულია“, „დგომა აკრძალულია“ და განსაკუთრებით ნიშანს — „შესვლა აკრძალულია“, რომელსაც მძღოლები ნახატის მიხედვით „აგურს“, ხოლო მნიშვნელობით „აგურის კედელს“ უწოდებენ. მაგრამ ამ კედელს თბილისში კამოს, ფალიაშვილის, ლესელიძის, ჩიტაძის ქუჩებზე და ბევრ სხვა ადგილას არ ეპუებიან. ასეთ მძღოლთა კატეგორიაში შედიან: გიორგი არუთინოვი, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ფეხსაცმლის ინდკერვის და შეკეთების № 6 ატელიეს მემოდელე, რომელიც თავისი ვაჟის ვლადიმერ არუთინოვის „ჟიგულს“ მართავდა; თამაზ თომას ძე ჩხიკვაძე, თბილისის მეორე საავტომყოფოს ქირურგი, რომელიც სიდედრის კუთვნილ „ჟიგულს“ მართავდა. თ. ჩხიკვაძე წესრიგის დამცველებს ბევრს ედავა, ამ უბრალო (?!) დარღვევაზე ყურადღების მიქცევა არ ღირდაო.

აქ კიდევ ერთ საკითხს უნდა შევეხოთ. ხშირად ნახავთ ტროტუარზე გაჩერებულ სატვირთო ავტომობილებს, რომლებმაც მაღაზიას პროდუქტი ან რაიმე ტვირთი მიუტანეს, ან ტარა უკან მიაქვთ. იმის მომიზეზებით, რომ მტვირთავმა მანძილი შეიმოკლოს, იხურება ტროტუარი, გავლა უჭირთ ქვეითად მოსიარულეებს, ზოგჯერ კი ეს მათ უსაფრთხოებასაც ემუქრება. ასეთ სურათს ხშირად ვნახავთ არათუ ქალაქის გარეუბნებში, არამედ რუსთაველის, ჭავჭავაძის და პლეხანოვის პროსპექტებზეც კი. ასევე იქცევიან საკუთარი ავტომობილების მძღოლებიც. იმის საბაბით, ქუჩის ზოგიერთ მონაკვეთზე ავტომანქანის დგომა აკრძალულიაო, მძღოლი მანქანას ტროტუარზე შეაყენებს. ასეთ სურათს ყოველდღე ნახავთ ბელინსკისა და ლენინის ქუჩებზე, მარჯანიშვილისა და კამოს, დადიანისა და ლესელიძის, ძერჟინსკისა და გორგასლის, სურამის ქუჩებზე, პირველი მაისის რაიონის სახელმწიფოო ბანკის წინ და ბევრ სხვა ადგილას; ასე განსაჯეთ და თვით „კომუნისტის“ რედაქციის წინაც.

მოუწესრიგებელია შუქნიშნების სიგნალებისადმი მძღოლთა დამორჩილების საკითხი. ხშირად მძღოლები შეგხვდებიან და ემორჩილებიან შუქნიშნის ჩვენებას და წითელ შუქზე ისე გაივლიან გზაჯვარედინს, თითქოს შწვანე სინათლე ენთოს. განსაკუთრებით ეს ეხება წითელ სინათლეზე მარჯვნივ მოხვევას. ჭავჭავაძის პროსპექტისა და კეკელიძის ქუჩის გადაკვეთაზე ვარაზის ხვეოდან მარჯვნივ მოხვევა უნდა ხდებოდეს მწვანე სინათლეზე, მაგრამ მძღოლები არად აგდებენ არც წითელ სინათლეს და არც ველიქიშვილის ქუჩის მხრიდან მომავალ ავტომობილთა ნაკადს, წითელ შუქზე უხვევენ მარჯვნივ და ხელს უშლიან პირდაპირ მომავალ ტრანსპორტს, ზღუდავენ და აფერხებენ მოძრაობას. ყველაფერი ეს კი ხდება საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორთა თვალწინ.

მსგავს დარღვევათა ზრდა ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ზედმეტ ლმობიერებას ვიჩენთ მოძრაობის წესების დამრღვევთა მიმართ და ასევე ლიბერალურია ზოგიერთი ადმინისტრაციული სასჯელიც?

კვლავ გავიხსენოთ ისტორია: 1922 წლის 22 აპრილს, (როდესაც საქართველოში, როგორც ითქვა, ავტომობილები თითზე ჩამოსათვლელი იყო) საქართველოს რევკომმა გამოსცა ბრძანება, რომ ქუჩაში მოძრაობის წესების დამრღვევ მძღოლებს ტრიბუნალი დასჯიდა რევოლუციური დროის კანონის მთელი სიმკაცრით. ხოლო 1923 წლის 27 ივნისს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო სავალდებულო დადგენილება თბილისსა და მის მიდამოებში ავტომობილებისა და მოტოციკლების მოძრაობის მოწესრიგების შესახებ. მოძრაობის წესების დარღვევისათვის მძღოლებს 100 მანეთით აჯარიმებდნენ ან ერთი თვით აპატიმრებდნენ...

დღეს კი, როდესაც მარტო პირად მფლობელობაში 200 ათასზე მეტი მსუბუქი ავტომობილი და მოტოციკლია, წესრიგის დამრღვევ მძღოლთა მიმართ ადმინისტრაციული სასჯელი ნამდვილად მსუბუქ ზომად მიგვაჩნია. კანონს ჰუმანურობა არსებული წყობილების დემოკრატიულობისა და საერთო ჰუმანიზმის მაჩვენებელია, მაგრამ გვაქვს თუ არა უფლება არ გამოვიჩინოთ მთელი სიმკაცრე მაშინ, როდესაც სწორედ მოძრაობის წესების დარღვევის გამო შარშან გარდაიცვალა 969 კაცი და 3.733 მძიმედ დაშავდა?

მოძრაობის წესების დარღვევა მარტო ისინი, რომლებმაც ჩემნაირად განვლეს ომის ქარცეცხლი დასაწყისიდან დასასრულამდე, არამედ ომის შემდგომი თაობებიც. ეს ომი შეგვახსენებს, რომ კვლავ არსებობენ ავრესიული ძალები და, რაც მთავარია, იგი მოგვიწოდებს მშვიდობისათვის ბრძოლისაკენ. მოგვიწოდებს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობისაკენ“, — ამ სიტყვებს ვისმენთ მეოცე ფილმში „უცნობი ჯარისკაცი“ (რეჟისორი და სცენარის ავტორი— რ. კარმენი).

ფილმი „დიდი სამამულო“ 1978 წლის დამლევს ტრანსლირებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების 10 ქალაქის, მათ შორის ნიუ-იორკის, ლოს-ანჟელესის, სან-ფრანცისკოს, კლევლენდის, ბოსტონის და სხვა ტელესადგურებით. ამერიკელი მაყურებელი, რომელმაც ფილმი „უცნობი ომის“ სახელწოდებით იხილა, გააკვირვა საბჭოთა ადამიანების ტიტანურმა გმირობამ გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. „უცნობ ომზე“ ყველამ ყველაფერი უნდა ჩცოდეს!“ — წერდა პრესა.

ეპოპეის შექმნაში მონაწილეობდნენ მთავარი კონსულტანტი ა. ალექსანდროვი, საბჭოთა სამხედრო სპეციალისტთა ჯგუფი საბჭოთა კავშირის გმირის, აღმიის გენერლის პ. კუროჩკინის ხელმძღვანელობით, მთავარი რეჟისორები რ. კარმენი და ი. კლაირანი (აშშ), კომპოზიტორი, პოეტი და მომღერალი როდ მაკუენი (აშშ), ცნობილი ამერიკელი კინომსახიობი ბერტ ლანკასტერი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ვ. ლანოვოი და მრავალი სხვა.

ბერტ ლანკასტერმა, რომელსაც კარგად იცნობს ჩვენი მაყურებელი ფილმებით „ლეოპარდი“, „მატარებელი“, „ოჯახის პორტრეტი ინტერიერში“, ამ ფილმზე მუშაობასთან დაკავშირებით სპეციალურად იმოგზაურა საბჭოთა კავშირში და აღნიშნა, რომ განცვიფრებულია ხატინის, მურმანსკის, სტალინგრადისა და სხვა მემორიალებით.

საბჭოთა ადამიანების გმირობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის ამსახველი ამ უკვდავი ქმნილების პრემიერა გაიმართა 23 თებერვალს მოსკოვის უდიდეს კინოთეატრ „როსიაში“.

ო. თოლორაია,
თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კინოფიკაციის სამმართველოს უფროსი.

დიდების ოცი საფეხური

ორშაბათიდან, 12 მარტიდან, თბილისის ეკრანებზე ნაჩვენები იქნება დოკუმენტური კინოეპოპეა „დიდი სამამულო“

ოცი სერიისაგან შემდგარი მასშტაბური დოკუმენტური კინოეპოპეა „დიდი სამამულო“ გადაღებულია ლენინური და ბრძოლის წლოვანი დროშის ორდენოსან დოკუმენტური ფილმების ცენტრალურ სტუდიაში ამერიკული კინოკომპანიის „ერთიან ინტერნაციონალის“ შეკვეთით და მონაწილეობით. მის შექმნაზე მუშაობდა საბჭოთა და ამერიკელი სცენარისტების, რეჟისორების, სამხედრო კონსულტანტების დიდი ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგა ცნობილი საბჭოთა კინორეჟისორი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი რომან კარმენი.

დოკუმენტური კინოს სიმარჯვლემ, ფაქტის პოეზიამ ფილმს გარკვეული ეპიკური ძღერადობა მიანიჭა.

თითოეულ ფილმს თავისი ავტორი ჰყავს. ყოველმა მათგანმა გვიჩვენა თავისი შემოქმედებითი ხელოვნების მთელი შესაძლებლობანი, ნიჭი და ენთუზიაზმი.

დიდ ყურადღებას იპყრობს სპეციალურად ამ ფილმისათვის აღებული ინტერვიუ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ლ. ი. ბრეჟნევთან, აგრეთვე ინტერვიუები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ა. ნ. კოსიგინთან და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრთან საბჭოთა კავშირის მარშალ დ. თ. უსტინოვთან.

საბჭოთა ხალხის ძლიერების რწმენა და სულიერი მღელვარება ყღერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებში:

„20 მილიონი საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ამ ომმა. ჩვენი ხალხი ამას არასოდეს დაივიწყებს. მოიგონებენ ომის ბრძოლებს, ომის ბოროტებას, ომის ტანჯვა-ვაებას, ომის ბოროტ ოფლს, ომის ბინდ-ბურუსს, ომის ბინდ-ბურუსს, ომის ბინდ-ბურუსს...“

ეს ფილმი ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას, ადამიანურ ბედნიერებას, ადამიანურ ბედნიერებას, ადამიანურ ბედნიერებას...

ბ. ბუხრაშვილი — რესპუბლიკის ავტოინსპექციის უფროსი ავტოინსპექტორი; ბ. ბახტურიძე — გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

რაზმელები:

სასახლო საქმეთა უცვლელი ვახტი

თბილისში გაიმართა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის რესპუბლიკური შტაბის გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების შტაბების უფროსები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე გ. გვეტაძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები, ამერიკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სარდლობის წარმომადგენლები.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში რამდენიმე ათასი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეული შექმნილი. მათ რიგებში ათიათასობით კაცია გაერთიანებული.

არც ერთი სერიოზული სამართალდარღვევა, თქვეს თათბირზე, არ მომხდარა მას შემდეგ, რაც დოლიძის ქუჩის მიკრორაიონში შემოღებულ იქნა ქალაქ თბილისის ორკონიკიძის რაიონის თერმეტი დაწესებულებისა და ორგანიზაციის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის სისტემატური მორიგეობა. რაზმელების პროფილაქტიკური მუშაობის გაკეთებამ მიკრორაიონს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უბნის სახელი მოუხვეჭა.

უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვან შედეგს მიაღწიეს აგრეთვე თბილისს ლენინის, კალინინის, ორჯონიკიძისა და მთელი რიგი სხვა რაიონების ნებაყოფლობითმა სახალხო რაზმეულებმა.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სამართალდარღვევათა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში საგრძნობი წვლილი შეაქვთ წინანდლის საბჭოთა მეურნეობის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, დიმიტროვის სახელობის ქარხნის, ქუთაისის პურკომბინატის, ქალაქების გორის, ფოთის, თელავის, ზუგდიდის, აჭარის სსრ ნელეაჩაურის რაიონის ნებაყოფლობითს სახალხო რაზმეულებს.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ყველა ქვეგანაყოფი, ყველა რაზმელი პირნათლად რომ იხდიდეს თავის მოვალეობას, მაშინ წესრიგის დაცვის, სამართალდარღვევათა და დანაშაულობათა თავიდან აცილების ბევრი პრობლემა უკვე დიდი ხნის გადაჭრილი გვექნებოდა. სამწუხაროდ, ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ვ. შაფურის მოხსენებასა და თათბირის მონაწილეთა გამოსვლებში, რაზმელების მუშაობაში ჯერ კიდევ იგრძნობა ფორმალიზმი, ზერეა მორიგეობის გაცდენის, ცალკეული რაზმების პასიურობის ფაქტები.

სწორედ მილიციასთან მჭიდრო თანამოქმედებით შეძლებენ სახალხო რაზმელები წარმატების მიღწევას სამართალდარღვევათა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში. თათბირზე მოიყვანეს ასეთი მაგალითი ცხინვალის საბჭოთა მეურნეობის რაზმეულის პრაქტიკიდან: რაზმელმა გ. გავაშელიძემ, რომელიც საყრდენ პუნქტში მორიგეობდა, მიიღო ცნობა ბოროტი ხულიგნობის ჩადენის შესახებ. მან მომხდარი ამბავი ტელეფონით მილიციას შეატყობინა, თვითონ კი სათავეში ჩაუდგა ძებნას და ადგილზე მოსულ მილიციის მუშაკებთან ერთად დაიკავა დამნაშავე.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სახალხო რაზმეულების საქმიანობის ყოველმხრივ გააქტიურება დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და სოფელში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის ბრძოლის ღონისძიებათა მთელი კომპლექსის ეფექტიანობის ამაღლების საქმეში. (საქინფორმი).

მთელი მსოფლიოს სოლიდარობა და მხარდაჭერა

ჰელსინკი, 9 მარტი. (საკდესი). აქ სამი დღის მუშაობის შემდეგ დამთავრდა ვიეტნამის მხარდაჭერის საგანგებო საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყნის 400-ზე მეტმა წარმომადგენელმა, აგრეთვე 30 საერთაშორისო ორგანიზაციის წარმოგზავნილებმა. გამოხატავდნენ რა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და მასობრივი მოძრაობის, პროფკავშირების, ქალთა, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ორგანიზაციების აზრს, მათ მტკიცე პროტესტი განაცხადეს პეკინის აგრესიის წინააღმდეგ, მოითხოვეს დაუყოვნებლივ და პირობის დაუთქმელად გაიყვანონ ჩინეთის ჯარები ვიეტნამის ტერიტორიიდან.

კონფერენციის მონაწილეებმა დაადასტურეს მთელი მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობის მოთხოვნა, რომელიც გამოიხატება „ხელები შორს ვიეტნამისაგან!“.

საბოლოო ხხდომაზე საერთაშორისო ფორუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მოწოდება მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი — „ხელები შორს ვიეტნამისაგან!“, მიმართავ ჩინელი ხალხისადმი, აგრეთვე სხვა დოკუმენტები, მათ შორის ვიეტნამისადმი სოლიდარობის მსოფლიო კამპანიის შემდგომი გაშლისათვის პრაქტიკული მოქმედების პროგრამა.

ხელები შორს ვიეტნამისაგან!

ვიეტნამის მხარდამჭერის საგანგებო საერთაშორისო კონფერენციის მოწოდება

მთელი კაცობრიობა ღრმად შეშფოთებულია მასირებული შეიარაღებული აგრესიით, რომელიც ჩინეთის ხელმძღვანელობამ გაიჩაღა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის — იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც სიმამაცის, სიმტკიცისა და თავგანწირვის სიმბოლო გახდა მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ეს აგრესია ეწინააღმდეგება აგრეთვე თვით ჩინელი ხალხის ინტერესებს. მას გმობენ მთელ მსოფლიოში.

ვიეტნამზე შეიარაღებული თავდასხმა უხეშად არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, საყოველთაოდ მიღებულ და ყველასათვის სავალდებულო საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

მიმართვა ჩინეთის ხალხისადმი

ჩვენ, მსოფლიოს ასზე მეტი ქვეყნისა და ოცდაათზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაციის მშვიდობისმოყვარე ძალების წარმომადგენელნი, გამოვთქვამთ რა მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის ღრმა შეშფოთებასა და წუხილს, შევიკრებეთ შექმნილ საგანგებო ვითარებაში ჰელსინკში 1979 წლის 6-8 მარტს და გადავწყვიტეთ მივმართოთ ჩინელ ხალხს შემდეგი:

ჩინეთის ხელმძღვანელებმა შეიარაღებული მასირებული აგრესია გააჩაღეს ვიეტნამის — დამოუკიდებელი, სუვერენული და მეგობარი მეზობელი ქვეყნის წინააღმდეგ.

ეს აგრესია ფეხქვეშ თელავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმას. იგი იწვევს მრავალ მსხვერპლსა და ნგრევას, მიმართულია არა მარტო ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე ეწინააღმდეგება ჩინეთის ხალხის ნამდვილ ინტერესებს. იგი ხელს აძლევს იარაღის ფაბრიკანტებსა და ვაჭრებს, მშვიდობის მტრებს, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების მოწინააღმდეგეებს.

ჩინელი ხალხისადმი საუკეთესო გრძნობებით გამსჭვალულნი და ღრმად დარწმუნებულნი, რომ მისთვის, ისევე, როგორც ყველა ჩვენთვის, ძვირფასია მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმე, ჩვენ მოვუწოდებთ მას შეაჩეროს აგრესორის ხელი — მოსთხოვოს ჩინეთის ხელმძღვანელობას დაუყოვნებლივ და საბოლოოდ შეწყვიტოს ეს აგრესია და გაიყვანოს ვიეტნამის ტერიტორიიდან მთელი ჯარი უკანასკნელ ჯარისკაცამდე, პატივი სცეს ვიეტნამის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

ჩვენ, 100-ზე მეტი ქვეყნის მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობისა და 30 საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელნი, სხვადასხვა შეხედულებისა და რწმენის ადამიანები, შევიკრიბეთ რა ვიეტნამის მხარდაჭერის საგანგებო საერთაშორისო კონფერენციაზე (ჰელსინკი 1979 წლის 6-8 მარტი), მოვუწოდებთ მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს გაშალონ ვიეტნამისადმი საერთაშორისო სოლიდარობის კიდევ უფრო მძლავრი მოძრაობა, რათა აიძულონ ჩინეთის ხელისუფალნი დაუყოვნებლივ და საბოლოოდ შეწყვეტონ აგრესია და პირობის დაუთქმელად გაიყვანონ ჩინეთის მთელი ჯარები ვიეტნამიდან, პატივი სცენ მის, ისევე როგორც მსოფლიოს ყოველი სხვა სახელმწიფოს, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. საჭიროა არ დაუშვათ ჩინეთის აგრესიის გავრცელება ლაოსის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ამ რაიონის სხვა ქვეყნებზე.

ა. ბ. ვაჯპაი მხარს უჭერს

ინდოეთის თანამედ მშვიდობის ფონდად ფონდ-გამოცხადდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელი. (საკდესი). ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ბ. ვაჯპაიმ, რომელიც, პარლამენტის სესიაზე გამოვიდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა განახლდეს საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების მოლაპარაკება ინდოეთის ოკეანის მშვიდობის ზონად გამოცხადების შესახებ. საბჭოთა კავშირის პოზიცია ამ საკითხში კარგად არის ცნობილი, წერს დელის გაზეთი „პატრიოტი“. იგი მუდამ სერიოზულად და მთელი პასუხისმგებლობით მოითხოვდა ინდოეთის ოკეანეში სამხედრო საქმიანობის შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკების უსწრაფესად დამთავრებას. მაგრამ, ხაზს უსვამს გაზეთი, შეერთებული შტატები პოულობს ყოველგვარ საბაბს, რათა მოლაპარაკების მაგიდას არ მიუჯდეს. უფრო მეტიც, ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ ადიდებს თავის სამხედრო ძალიერებას ინდოეთის ოკეანის ზონაში. შეერთებული შტატების ასეთი პოზიცია, დაასკვნის გაზეთი, ეწინააღმდეგება ინდოეთის ოკეანის აუზის ქვეყნების ხალხთა ინტერესებს და ხელს უშლის საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეს.

მუამარ კადაფის ინტერვიუ

პარიზი. (საკდესი). ყოველკვირეულმა „აფრიკა-აზიამ“, რომელიც აქ გამოდის, გამოაქვეყნა ლიბიის რევოლუციის ლიდერის მუამარ კადაფის ინტერვიუ.

ირანის რევოლუცია, — განაცხადა მ. კადაფიმ, — ძირეულად გარდაქმნის პოლიტიკურ ვითარებას შუა აღმოსავლეთში, და განსაკუთრებით არაბულ სამყაროში. ამ სახალხო რევოლუციამ ცხადყო, რომ მონარქია და რეაქცია, გაფფრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, დაღუპვის გზაზე არიან, ჩაგვრა, რეპრესიები, ექსპლოატაცია, სისხლისღვრა და ძალადობა

ფოტოინფორმაცია

ამ დღეებში ჭიათურაში ამაღელვებელი ამბავი მოხდა: ერთმანეთი იპოვეს დედა-შვილმა კრავეცებმა, რომლებმაც დიდი სამამულო ომის დროს დაკარგეს ერთმანეთი. 37 წელი ეძებდა დედა თავის ვაჟიშვილს, და ეი, როგორც იქნა იპოვა. სურათზე: დედა-შვილის შეხვედრა. ა. მაჩავარიანის ფოტო.

„მზე თქვენთანა". ასე ეწოდება ა. პაპაიანის კომედიას, რომელიც თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სომხური დრამატული თეატრის სცენაზე დაიდგა. სურათზე: სცენა სპექტაკლიდან.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მთვარის ნაწილობრივი დაბნელება

18 მარტს 23 საათსა და 30 წუთიდან თბილისის დროით საქართველოს მცხოვრებლებს შეეძლებათ თვალი ადევნონ მთვარის ნაწილობრივ დაბნელებას. იგი სამ საათსა და 18 წუთს გასტანს. 14 მარტს 01 საათსა და 09 წუთზე დედამიწის ჩრდილი დაფარავს მთვარის დისკოს დაახლოებით ცხრა მეათედს. ამის შემდეგ მთვარე დაიწყებს ჩრდილიდან გამოსვლას და 02 საათსა და 48 წუთზე კვლავ აკაშკაშდება.

თითქმის მთელ დაბნელების დროს მთვარე იქნება ლომის თანავარსკვლავედში, ხოლო დამთავრებისას გადავა ქალწულის თანავარსკვლავედში.

ვ. ჯაფიაშვილი,

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის ნაწილში. (საქინფორმი).

„დინამო" — მეოთხედფინალი

ვ რ ო ბ ლ ე მ ა!

გუშინ გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების ზონალური ტურნირების მეოთხე ტურის მატჩები. გთავაზობთ პირველ ზონაში (თბილისი, რუსთავი) გამართული შეხვედრების შედეგებს:

„დინამო" (ლენინგრადი)-„ურალმაში" (სვერდლოვსკი) — 0:1.

„ზარია" (ვოროშილოვგრადი)-ასკ (დონის როსტოვი) — 3:5.

„დინამო" (თბილისი)-„ტორპედო" (ქუთაისი) — 3:0.

„დინამო" (თბილისი): ბაბილია (მამინაშვილი), კოსტავა (დურდიაძე), კანთარაძე, ჩიკაძე, გ. მაჩაიძე, დარასელია, ზ. მაჩაიძე (ხიზანიშვილი), ქორიძე, გუცაევი, სულაქველიძე, შენგელია.

„ტორპედო" (ქუთაისი): ბჟელიძე, შელია, გოგოლაძე, მელიქია, ფარულავა, ოქროპირაშვილი, ბურკაძე, ებანოიძე (გაბიჩვაძე), სვანაძე, ბაზაზაშვილი, წერეთელი.

გოლები: დარასელია (35-ე წუთზე), ბოჩა მაჩაიძე (55-ე), გუცაევი (76-ე, 11-მეტრიანი საჯარიმო).

გაფრთხილებულია გუცაევი.

ამ შეხვედრას ყველა ელოდა. ელოდა იმის გამო, რომ ყველას აინტერესებდა, რით გამოიჩენდნენ თავს ქვეყნის პირველი გუნდი და უმაღლესი ლიგის ყოფილი ბინადარი ქუთაისის „ტორპედო". ცხადია, ჩემპიონისა და უმაღლეს ლიგაში ადგილის მაძიებელი გუნდის ამოცანა სხვადასხვა იყო. ერთს უნდა დამტკიცებინა, რომ იგი ქვეყნის მართლაც მთავარი კოლექტივია, მეორეს კი — რომ იგი ადვილად მოსათოკი გუნდი არ არის და მას პირველ ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო ადგილისათვის ბრძოლის უნარი აქვს. ერთმაც და მეორემაც უაღრესად რაინდული სულისკვეთებით ითამაშა და თუ მთავარმა გუნდმა თავისი სიძლიერე დაამტკიცა, თამაშით არც „ტორპედო" დარჩენილა დიდ ვალში.

მაშ ასე, თბილისის „დინამომ" გაიმარჯვა ანგარიშით 3:0 და საკავშირო თასის გათამაშების ზონალური ტურნირის ბოლო ტურის წინ მეოთხედფინალში თამაშის უფლება გაიხადა. ქუთაისის „ტორპედომ" სამმაგლოდ იმედის ნაპერწკალი გაგვიღვიძა. მეოთხედფინალში დინამოელთა მეტოქის ვინობა შერეკე ზონის ბოლო ტურში გაირკვევა. ახლა ამ ზონაში მოსკოვის „ტორპედოს", კუიბიშევის „კოილია სოვეტოვსა" და სიმფეროპოლის „ტავრიას" 5-5 ქულა აქვთ. მეოთხედფინალში ვინ იქნება თბილისის „დინამოს" მეტოქე? დაველოდოთ მოვლენათა მსვლელობას. ერთი კი ნათელია, ვინც არ უნდა იყოს თბილისელთა მოწინააღმდეგე, ამოცანა საპატიოა: თასის მეორედ ხელპყრობა!

ჯ. ენუქიძე.

ევროპულ ტურნირებზე

გაიმართა ევროპული საფეხბურთო კლუბების ტურნირების პირველი მეოთხედფინალური მატჩები. გთავაზობთ შედეგებს:

ჩემპიონთა თასი. „ვისლა" (კრაკოვი, პოლონეთი)-„მალმე" (შვეიცია) — 2:1, „კიოლნი" (გფრ)-„გლაზგო რეინჯერსი" (შოტლანდია) — 1:0, „ნოტინჰემ ფორესტი" (ინგლისი)-„გრასჰოპერსი" (შვეიცარია) — 4:1, „აუსტრია" (ვენა, ავსტრია)-„დინამო" (დრეზდენი, გფრ) — 3:1; **თასების მფლობელთა თასი.** „მაგდებურგი" (გდრ)-„ბანიკი" (ჩეხოსლოვაკია) — 2:1, „ინტერნაციონალე" (იტალია)-„ბეევერენი" (ბელგია)— 0:0, „იფსვიჩ თაუნი" (ინგლისი)-„ბარსელონა" (ესპანეთი) — 2:1, „ფორტუნა" (გფრ)-„სერვეტი" (შვეიცარია) — 0:0; **უეფას თასი.** „ჰერტა" (დასავლეთ ბერლინი)-„დუკლა" (ჩეხოსლოვაკია) — 1:1, „ჰოხვედი" (უნგრეთი)-„დუისბურგი" (გფრ) — 2:3, „ცრკვენა ზვეზდა" (იუგოსლავია)-„ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" (ინგლისი) — 1:0, „შანჩესტერ სიტი" (ინგლისი)-„ბორუსია" (მიონხენგლადბახი, გფრ) — 1:1. განმეორებითი შეხვედრები გაიმართება 21 მარტს.

ზედიზედ მეოთხე

ბელგრადში მიმდინარე ქალთა საერთაშორისო ტურნირის მეოთხე ტურში მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ დაამარცხა უნგრელი ჟუჟა ვერეცი-პეტრონინი. მაიას სამი შეხვედრიდან 2,5 ქულა აქვს. ზედიზედ მეოთხე გამარჯვება იხეიმა ნანა ალექსანდრიამ. აჯერად მან მოუგო მალინა ბოშკოვიჩს (იუგოსლავია) და ტურნირს ქულათა მაქსიმუმით (4) ლიდერობს.

ყოველ გაზაფხულს მოუთმენლად მოელის ბუნება და ადამიანი, ცხვარს ბალახი, ბელურას საკენკი ახსენდება, მდინარე ყინულის არტახებს იცილებს, სიხარულის მოლოდინი აქვთ პოეტებს, მკითხველებს, ფეხბურთის მოყვარულთ.

ამ უკანასკნელთ საქართველოში მართლაც კარგი გაზაფხული დადგა — საფეხბურთო სეზონი ჩვენმა მთავარმა გუნდმა წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტლის დაცვა დაიწყო.

მონომახის ქუდის სიმძიმეც რომ მართალია, ამაში გუნდი და მისი გულშემატკივარი შარშანვე, ჩემპიონობის პირველ დღეებშივე დარწმუნდა. საკავშირო და რესპუბლიკურმა პრესამ თბილისის „დინამოს" ჩემპიონობა ხინჯიანად აღიარა, და, უნდა ითქვას, სამართლიანადაც. ხიხი საერთაშორისო შეხვედრებში გუნდის დამარცხებამ მოიტანა, დამარცხებამ, რომელიც გარღუვალი სრულიადაც არ იყო.

საზოგადოებრივი აზრი დაახლოებით ასე ჩამოყალიბდა: ბოლო წლებში გუნდის წარმატება მაღალ კლასის სტაბილურმა თამაშმა და დამკვიდყოფილებელმა ტაქტიკურ-ტექნიკურმა დონემ განაზღვრა. ორჯერ მესამე ადგილი და თასი — 1976 წელს, ვერცხლის მედლები — 1977 წელს და ჩემპიონობა შარშან. მწვრთნელების ნ. ახალაკაის, კ. ასათიანისა და ს. კუტივაძის მეცადინეობით გუნდში დამკვიდრებულია ჯანსაღი სამუშაო ატმოსფერო და თანამედროვე ფეხბურთის ქართული ვარიანტების ძიება და შემოქმედება.

მაგრამ ამასთანავე იყო ზოგჯერ აუხსნელი ჩავარდნებიც საერთაშორისო სარბიელზე, — უნგრეთის „მტკ"-სთან, შვეიცარიის „გრასჰოპერსთან" და დასავლეთ ბერლინში „ჰერტასთან".

ნიშნავს თუ არა საკითხის ასე დასმა იმას, თითქოს თბილისის „დინამო" დღეს ის გუნდია, რომელმაც საზღვარს იქით შეხვედრა არ უნდა წააგოს? ეს ჯერ სანატრელია. მაგრამ თბილისის „დინამო" დღეს ის გუნდია, რომელმაც აუცილებლად უნდა გაუძლოს საფეხბურთო კოჯურსს ევროპის თასებზე; თუ ფინალამდე არა, ჯერჯერობით ფინალის მისადგომებამდე მაინც.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ფრიად საჭირო დადგენილება იქ კომპლექსურ ღონისძიებათა შესახებ, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ საერთაშორისო შეხვედრებში საბჭოთა კავშირის 1978 წლის ჩემპიონის თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის სასურველი შედეგები. ეს დოკუმენტი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შარშან ნოემბერში მიიღო. მასში კელავ აისახა ჩვენს. რესპუბლიკაში ფიზიკურ კულტურასა და სპორტზე პარტიული მზრუნველობის მაღალი დონე და ხარისხი, რომლებიც ბოლო წლებისთვის არის დამახასიათებელი.

სპორტკომიტეტის, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, პროფსაბჭოს, „დინამოს" საბჭოს, ფიზკულტურის სასწავლო და საკვლევი ინსტიტუტების რეკომენდაციათა საფუძველზე შემუშავებულია ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მოიცავს გუნდში სასწავლო-საწვრთნელ და მეთოდიკურ მუშაობას, პოლიტიკმზრდელობით და ფსიქოლოგიურ მომზადებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას.

დოკუმენტის განსაკუთრებული ღირსება ის არის, რომ იგი ზედმიწევნით კონკრეტული და მიზანსწრაფულია.

ეი ზოგიერთი მისი მუხლი და პარაგრაფი. სპეციალისტების მოსაზრებათა შესაბამისად გაიზრდება საწვრთნელი და სასაპარეზო დატვირთვის მოცულობა და ინტენსიურობა. (გუნდის შეხვედრების რაოდენობა 50-დან 70-დე უნდა ავიდეს, როგორც ეს წამყვანი უცხოური კლუბების პრაქტიკაშია).

ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნება ფეხბურთის საპრობლემო ლაბორატორია, დიღმის მშენებარე ბაზაზე — მცირე სასწავლო ცენტრი, რომელიც აღჭურვება თანამედროვე სასწავლო-მეთოდიკური და ტექნიკური მოწყობილობითა და აპარატურით. აქვე, ზოგადსაგანმანათლებლო და მხატვრული ლიტერატურის ბიბლიოთეკასთან, მოეწყობა მსოფლიო საფეხბურთო სამყაროს პრობლემატიკის ამსახველი სპეციალური ლიტერატურის, ფილმო-და კარტოთეკის კაბინეტი, რომლისთვისაც საჭირო ვალუტის გამოყოფა დავალებული აქვს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს.

დიდი სამშენებლო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებია დაგეგმილი „დინამოს" ფეხბურთელთა მატერიალური ბაზის გასაახლებლად და განსამტკიცებლად. დიღომში სულ მალე საეკსპლოატაციოდ გადაეცემა დიდი სიყვარულითა და ფანტაზიით, ქართული არქიტექტურული პეწით ნაგები სპორტული ბაზის სძინებელი კორპუსი. აქვე სპორტკომიტეტმა და „დინამოს" საბჭომ შუა წელიწადში წესრიგში უნდა მოიყვანონ ფეხბურთის მეორე საწვრთნელი მოედანი.

უახლოეს ხანში სპორტსაზოგადოება „დინამოს" გადაეცემა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის შენობა, რომელიც „დინამოს" სტადიონის ტერიტორიაზეა განლაგებული. აქ მოთავსდება სპორტსმენების სასტუმრო, პრესცენტრი, სპორტული მუზეუმი, ხოლო ორსამ თვეში დიღმის ბაზაზე შეიქმნება თანამედროვე სამედიცინო-ბიოლოგიური და აღდგენითი ცენტრი. გუნდს გამოეყოფა ისეთი კომფორტული ავტობუსი, ავთვალს რომ არ დაენახვება.

რა პირი უჩანს ამ დადგენილების ხორცშესხმას? კარგი! ძირითადად კარგი, თუმცა არის ხარვეზებიც.

დიდი კმაყოფილებით , შეხვდა გუნდიც და მისი გულშემატკივარიც ზღვისპირა სოფელ ალახაძეში სპორტსაზოგადოება „დინამოს" სასწავლო-სავარჯიშო კომპლექსის შენებლობის დაწყებას. იგი ამავე დროს ჯანმრთელობის შესანიშნავი კერაც იქნება. აქ ეწყობა ორი საფეხბურთო მინდორი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, მძლეოსნური სექტორები. ამასთან ერთად მწყობრში უნდა შევიდეს ოთხსართულიანი კეთილმოწყობილი პანსიონატი. ასეთი კომპლექსის აგებისათვის სამშენებლო ნორმებით საერთოდ დაშვებულია 18 თვის ვადა.

მოსალოდნელი იყო, რომ მშენებლები განსაკუთრებული მონდომებით მოეკიდებოდნენ საქმეს. საამუშაროდ, ეს ასე არ მოხდა. მშენებლობის დაწყებიდან ორ წელზე მეტი გავიდა. საქმიროეფექტგომშენის ტრესტმა გაგრის მოძრავ მექანიზებულ კოლონას, რომელიც ამ მშენებლობას აწარმოებს, უკვე ორჯერ გადაუდო ობიექტის დამთავრების ვადები.

ახლა კანონიერი კითხვა ისმის, და იცით ვის წინაშე? ტრესტის მმართველის ი. არობელიძის, გაგრის მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსის ჩ. რუხაძის, ტრესტის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კომბინატის უფროსის გ. გოგინაშვილის წინაშე: ძვირფასო ამხანაგებო, სიტყვით „დინამოს" ჩემპიონობა და მოგება რომ გინდათ და გახარებთ,—ეჭვი არ არის, გულწრფელად! — საქმენი თქვენი სიტყვას თქვენსას რად არ ესადაგება?

ხარვეზია, ვთქვით. დიახ, დიდ საქმეებს ახლავს ხოლმე. მაგრამ ხვალ თუ ზეგ უცილობლად აღმოიფხვრება: ალახაძეში პანსიონატი აშენდება, კეისარსა კეისრისა მიეგება ანუ ნ. ახალაკაი ბოლოსდაბოლოს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გახდება ა. შ.

ოღონდ არსებობს კიდევ ერთი ხარვეზი, არა, ხარვეზი და ნაკლი კი არა, არამედ ერთი უბედურება, რომელიც უმალ, დღესვე უნდა გამოსწორდეს. ეს სტადიონზე ზოგიერთი მაყურებლის ყოფაქცევის საკითხია.

არ არსებობს არავითარი სანახაობა, რომლის წარმომადგენელი, ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქიდან თუ უცხოეთიდან ჩამოსული, თბილისელ მაყურებელსა და მსმენელს არ ემადლიერებოდეს — ობიექტურობისათვის, დახვეწილი გემოვნებისათვის, დარბაისლური თავაზიანობისათვის.

ყველა ქართველს, ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრებ ყველა სხვა ერის წარმომადგენელს დიდად ეამაყება ჩვენი დედაქალაქის ტრადიციული სტუმართმოყვარეობა.

და უცაბ, თუ დავაზუსტებთ, სულ რაღაც ორი წელია, რაც დედაქალაქის ამ ღირსებას შელახვას უქადიან.

სპორტის სასახლეში და „დინამოს" სტადიონზე გამოჩნდნენ კალათბურთის თუ ფეხბურთის მყარალი ყმაწვილები საქართველოს მთელ მოსახლეობას აყენებენ შეურაცხყოფას.

რა ხდება ასეთი? თითქმის ყველა ქალაქსა და ქვეყანაში აქვთ უხეირო მსაჯისადმი მაყურებლის დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვა. ვთქვათ იტალიელები შეცდომების დამშვებ მსაჯს „სანანვენ" (რუსული «Судью — на мыло» იქიდან მოდის), რუსეთის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ქალაქებში გავრცელებულია ასეთი მსაჯის მოედნიდან გაძევების შეძახილი.

ჩვენთან, საქართველოში, უხეირო მსაჯსა და კინომექანიკოსს მეხაშვილ ნათლავდნენ. რამდენი იუმორია ამ სიტყვაში და რარიგ მწვავე პროფესიული შეფასება. იქნებ დღევანდელ ზოგ-ზოგ გაუზრდელ მოზარდს სიტყვის ქართული წარმოშობა ხელს არ აძლევს და მაინც ცდამაინც საერთაშორისო ტერმინს ეძებს? კეთილი, მაგრამ კეთილივე ინებოს და შეარჩიოს ისეთი, უწმაწურად რომ არ ჩაითვლება, ისეთი, რომელიც ადამიანის ღირსებას არ ბღალავს; ჩვენს ქვეყანაში ადამიანის ღირსებას კანონი. იცავს.

ასე რომ, მოედნის დისკვალიფიკაცია კი არა, შეურაცხყოფილ მსაჯს სასამართლო პასუხისგების მოიხოვნაც შეუძლია.

კვლავ მივყვეთ ფაქტებსა და სინამდვილეს. უმსგავსო საქციელის ჩამდენთ იქნებ ჰგონიათ მათი ქმიგობა გუნდსა სჭირდება. მაშ, მოვუსმინოთ თვით ფეხბურთელებს. ეს იძულებითი ინტერვიუ დონის როსტოვის არმიელებთან შეხვედრის შემდეგ გაიმართა.

კითხვა: — რით ხსნით დონის როსტოვის გუნდთან ჩვენების, წინა მატჩებთან შედარებით, სუსტ და უინტერესო თამაშს?

კახი ასათიანი: კარგად დაწყებული მატჩის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ ტრიბუნაზე მაყურებელთა საქციელმა ნირი წაუხდინა ბიჭებს. რამდენადაც სტადიონის მხარდაჭერა აღფრთოვანებს მათ, იმდენადვე საოცრად ცუდად მოქმედებს მათზე უღირსი ყოფაქცევა. ასეა თუ ისე, ცუდია თუ კარგი, მსაჯი მაინც მათი კოლეგაა და სცხვენიათ მერე მისი, გუნდება-განწყობილება უფუჭდებათ.

მანუჩარ მაჩაიძე: და მერე ვის რად უნდა ყოველივე ეს? ცალკე ჩვენსა ისედაც დაძაბულ და ნერვებია და ფსიქიკაზე მოქმედებენ, თანაც მსაჯებთან სახელს გვიტეხენ, მათ ჩვენს წინააღმდეგ გაანაწყობენ.

ალექსანდრე ჩივაძე: ჩვენთვის ამაზე მტრული და არასასურველი სხვა ნაბიჯის წარმოდგენა ძნელია. საოცრებაა პირდაპირ: მაიმუნობა და „ავაშვებულობა „გუნდის მხარდაჭერად როგორ შეიძლება ვიწმენ ჩათვალოს?!

ვლადიმერ გუცაევი: ჩვენი სტადიონი 70.000 მაყურებელზე მეტს იტევს. საკმარისია ერთი ხულიგნური გამოხდომა და მაშინვე ჩირქი ეცხება მთელ ჩვენს საზოგადოებრიობას. მხარდაჭერას მოვითხოვთ ყველა და ყოველ მატჩში, და არა უგვანობას, თუნდაც მოედანზე მსაჯის ნაცვლად ტარტაროზი დარბოდეს.

რამაზ შენგელია: ჩვენი სტადიონისა და გუნდის დიდ ავტორიტეტზე მიუთითებს ის, რომ წლეულ თბილისში სსრ კავშირის ნაკრების მონაწილეობით რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრა გაიმართება. ავტორიტეტს გაფრთხილება უნდა. ასეთ ნდობას და პატივისცემას ისეთი წესრიგით უნდა ვუპასუხოთ, ჩვენ რომ გვეკადრება.

ერთ-ერთმა ფეხბურთელმა კი ასე თქვა: ფეხბურთის სამყაროში ყველამ იცის, — ლიპატოვი სამართლიანი და კვალიფიციური მსაჯია. ძალიან დამძიმებული გულით ეტოვებდი დღეს მოედანს. რატომღაც რუდნევი გამახსენდა. ერთხელ მასაც მოუწყვეს თბილისში ობსტრუქცია. როცა მოსკოვში თასის ფინალში გავიმარჯვეთ და სიხარულით ცაში დავფრინავდით, რუდნევს, რომელმაც ბრწყინვალედ იმსაჯა ფინალი, გასახდელში შევხვდი და იცით რა მითხრა? ძალიანაც რომ მოემენდომებინა თბილისში ასეთი მსაჯობა, არ გამომივიდოდაო. მე პირადად დარწმუნებული ვარ, რომ კოლექტიური ყიამყრალობა ცუდად აღზრდილი ყმაწვილების საქმეა. აბა, სტუდენტი ამას არ იკადრებს და ოჯახისშვილი! ალბათ ყურადღებას მიაქცევდით, უმსგავსო შეძახილები აღმოსავლეთისა და სამხრეთის ტრიბუნებიდან ისმის, სადაც სწორედ ასეთები იყრიან თავს. და თავისი სათქმელი ასე დაამთავრა: იცით, კიდევ რაზე შემტკივა გული? ჩვენ გუნდს ხომ ინტელიგენტურ გუნდს ეძახიან და რაღა ჩვენს სტადიონზე, ჩვენს ინტელიგენტურ ქალაქში უნდა ხდებოდეს ყოველმხრივ საძარახისი ამბავი.

იმ წუთში დიდი სურვილი დაებადებოდა კაცს, აღმოსავლეთ ტრიბუნის იმდღევანდელ შემადგენლობას მოესმინა ეს აღსარება.

ვინ-ვინ და ამ სტრიქონების ავტორმა, რომელსაც არაერთი დღე და ღამე გაუტარებია თბილისის „დინამოს" ფეხბურთელ ებთან შინ, რესპუბლიკის გარეთ თუ საზღვარს იქით, კარგად იცის ჩვენი ბიჭების კულტურის, ზრდილობის, ინტელიგენტურობის დონე. მართლაც რომ, უხამსობას მათთან არაფერი კავშირი არ შეიძლება ჰქონდეს.

და თუ ეს ლირიკაში ჩაგვეთვლება ვინმესგან, ან დადგა ჯერი პროზისა და ფიზიკის ენით ვაუწყოთ მკითხველს შემდეგი:

გამო იმისა, რომ ბურთსა და აცვენილ მაყურებელს მხხვერპლად არავინ შესწირავს თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა სახელგანთქმული გუნდისა და იმ ხალხის ღირსებას, რომელსაც ეს გუნდი წარმოადგენს, გამო იმისა, რომ ფეხბურთის ნამდვილ მოყვარულთა და ჩვენი დედაქალაქის ნამდვილ პატრიოტთა სურვილი ასეთია (ამაზე კი „კომუნისტის" სარედაქციო ფოსტაც ნათლად მეტყველებს), **მომწიფდა საზოგადოებრივი აზრი** (მას „დინამოს" სტადიონთან არსებული საზოგადოებრივი ეიერიც იზიარებს), **რომ ჩვენმა ქალაქმა გარკვეული დროით უარი თქვას სპორტის ამ სახეობებში შეჯიბრების გამართვაზე, რომლებიც თამაშის ხასიათს ატარებს და არაჯანსაღ აყოლიაეს იწვევს, თუნდაც მაყურებელთა ერთ ნაწილში.**

სტადიონის ან სპორტის სასახლის დისკვალიფიკაციას ზემოდან (გთხოვთ გაიხსენოთ იმავე ლიპატოვის ყვესი — თუ კიდევ რაიმეს ისვრით მოედანზე, თამაშს შევწყვეტო), სჯობს ჩვენ თვითონ მივიღოთ ასეთი გადაწყვეტილება. მართალია ამ ძალიან არასასურველ ვარიანტში სპორტის ნამდვილი მოყვარულები ისკენებიან უპირველეს ყოვლისა, ისინი კი უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ, მაგრამ რას ვიზამთ? ასე იქნება, სანამ ეს დიდი უმრავლესობა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად ვერ შეძლებს უწესო უმცირესობის დამორჩილებასა და ტრიბუნებზე ხულიგნობისა და ვიგინდარობის აღკვეთას.

გაისიდან საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტთან შეთანხმებით ჩაფიქრებული იყო სეზონის დაწყებამდე თბილისში საერთაშორისო ტურნირის ჩატარება ფეხბურთში, რაც შემდეგ ტრადიციად უნდა გადაქცეულიყო. მაგრამ, აბა, ჩვენს სიგლახეს ახლა საერთაშორისო სარბიელზე გატანა ისჯრდება?!

თუ სტადიონებზე უწესრიგობა გაგრძელდება, არჩევანი აღარა რჩება.

ისე კი იმედი მაინც ცოცხლობს გულში, რომ ფეხბურთისა და სპორტის სხვა სახეობათა ასეთი აღმავლობის პერიოდში, როცა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეები ჩვენს რესპუბლიკაში აგრერიგად კარგად ეწყობა, უკიდურეს სანქციებს თავს მაინც დავაღწევთ და დინამოელ ფეხბურთელთა ახალი ავტობუსი ადრე მთელ ჩვენს ქვეყანაში აღიარებული ნაღდი ქართველი გულშემატკივრის მარშრუტებით იცლის.

გ. ბეთანელი.

ბურთი განა მარტო მრგვალია...

- **შარშანდელის გახსენება**
- **რა კირი უჩანს უაღრესად საჭირო დადგენილების შესრულებას?**
- **თბილისის „დინამო" 1979 წლის ყალიბია**
- **სპორტი — კუნთის სიჯანსაღე, ღირსება — კიდევ უფრო მეტი**
- **ჩენი იმედით, ნაღდო გულშემატკივარო!**

ბისათვის სამშენებლო ნორმებით საერთოდ დაშვებულია 18 თვის ვადა.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

□ 12 მ ა რ ტ ი

პირველი პროგრამით. 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.00 — მოსწავლეთათვის — საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია (ფ.), 17.30 — ბიოლოგია, 18.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის თასზე. თბილისის „დინამო"-სვერდლოვსკის „ურალმაში". ტრანსლაცია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან (ფ.), შესვენების დროს — კინოჟურნალი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 20.10 — „ვეტერიკი" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.40 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩუკოტკის მარში", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — მუსიკალური ფილმების, სატელევიზიო ფესტივალი. „სიმღერა ეკრანზე" მხატვრული ფილმი „ავი ძალღი". I სერია (ფ.).

მეორე პროგრამით 18.00 — სტუდენტთათვის — ფილოსოფია (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „კლდეები გვიბმობენ", „კარპატული მოტივები" (ფ.), 19.30 — მხატვრული ფილმი „ჩვენიანი", 20.55 — კონცერტი.

□ 13 მ ა რ ტ ი

პირველი პროგრამით. — 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.00 — აბიტურიენტთათვის ქართული ენა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — შვეისწავლოთ ინგლისური ენა, 18.05 — მოსწავლეთათვის — — „ცვლა", 18.35 — კინონარკვევი, 18.45 — „ჩვენი საკონსულტაციო დარბაზი", 19.15 — კონცერტი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ), 20.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხნიერი მასწავლებელი", 20.20 — „ნეიტრონული ბომბი: საფრთხე ძალაში რჩება" — წამყვანი ცენტრალური ტელევიზიისა და საკავშირო რადიოს პოლიტიკური მიმომხილველი ა. პოტაპოვი (მ.), 20.50 — კინოჟურნალი, 21.00 — მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — ხალხური მუსიკის კონცერტი (ფ.), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — მუსიკალური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი. „სიმღერა ეკრანზე". მხატვრული ფილმი „ავი ძალღი". II სერია (ფ.).

მეორე პროგრამით 18.00 — სტუდენტთათვის თეორიული მექანიკა (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — დოკუმენტური ფილმი „სამშობლო ჩვენი ტიუმენია" (ფ.), 19.35 — მხატვრული ფილმი „როსკიპი", 20.50 — „იავნანა" — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის (ფ.).

□ 14 მ ა რ ტ ი

პირველი პროგრამით. 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.00 — აბიტურიენტთათვის — მათემატიკა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.). 17.35 — შვეისწავლოთ გერმანული ენა, 18.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბუნების გაღვიძება", 18.20 — „გამოჩენილი მეცნიერი — ალბერტ აინშტაინი", 18.50 — დოკუმენტური ფილმი, 19.00 — „ბუნების კარი" (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყამრო — ბედო ჩემო" — პრემიერა (მ.), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — „მეფრის მედეა ამირანაშვილი" (ფ.), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „სპორტული კალეიდოსკოპი" (ფ.),

მეორე პროგრამით. 18.00 — სტუდენტთათვის — მასალათა გამძლეობა (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — კინონარკვევი, 19.00 — მოსწავლეთათვის — საბჭოთა კავშირის ისტორია (ფ.), 19.45 — ქართული მხატვრული ფილმი „შეხვედრა მთაში" (ფ.), 21.00 — დოკუმენტური ფილმი „ნიკოლოზ ამოსოვი".

□ 15 მ ა რ ტ ი

პირველი პროგრამით. 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.00 — აბიტურიენტთათვის — ფიზიკა (ფ.), 17.30 — უმცროსკლასელთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას, 18.00 — „მითი და სინამდვილე", 18.30 — „საესტრადო პანორამა" (ფ.), 19.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი" (მ.), 19.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კედელი", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — კინოჟურნალი, 20.10 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.40 — მსოფლიო პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში (ვენიდან), 22.00 —„ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.40 — „ლექსით ვზომავდი მე ჩემს ცაცობას" — ვ. გაფრინდაშვილი (ფ.).

მეორე პროგრამით. 18.00 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა (ფ.), 18.30 — განცხადებები (ფ.), 18.35 — სტუდენტთათვის მექანიზმებისა და მანქანების თეორია (ფ.), 19.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბუერპარიზი", 20.10 — დოკუმენტური ფილმი „ტრეტიაკოვის გალერეაში" (ფ.), 21.10 — სატელევიზიო მუსიკალური დაგდმა „შეხვედეთ მზეს, ის თვით სამზმოვანებაა" (ფ.).

□ 16 მ ა რ ტ ი

პირველი პროგრამით. 09.00 —„ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.00 — აბიტურიენტთათვის — ქიმია (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — შვეისწავლოთ ფრანგული ენა, 18.05 — საერთაშორისო დღიური, 18.20 — მოსწავლეთათვის „გზა მშვენიერებისაკენ", 19.00 — „მოქალაქე, საზოგადოება, კანონი", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — კონცერტი, 20.30 „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამშობლო, რომელიც მოიპარეს" (მ.), 22.00—„ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — მსოფლიო პირველობა ფიგურებით ფიგურულ სრიალში (ვენიდან).

მეორე პროგრამით. 18.00 — მერვეკლასელთათვის — ფიზიკა (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „ჩემი სახლი, ჩემი ოჯახი" (ფ.), 19.20 — მასწავლებლის სახელ. — ქიმია (ფ.), 20.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 20.30 — საესტრადო კონცერტი, 21.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „ბინადარი ოლიმპიაზე".